619
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

ივნისი
№ 6 1980 წ.







# 1 ივნისი— ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

როგორც დედის გული,
დედამიწაც დაშვრეს:
— ყველაფერი თქვენთვის,
ყველაფერი ბავშვებს!

სერგო ედიშერაშვილის
ფოტოეტიუდები

# ქება სიბრძნისა

ვლადიმერ გაგუა,
პროფესორი.

16.40 8

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსება და მისი მრავალმხრივი საქმიანობა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ხალხის ისტორიაში; მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართველ ერს განათლებისა და კულტურის განვითარების სფეროში.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთსა და უკრაინაში დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოებები და კომიტეტები. ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა გადაწყვიტეს ანალოგიური საზოგადოება საქართველოშიც შეექმნათ და 60-იან წლებში დაწყებული მეცადინეობა 1879 წლის მაისში დაგვირგვინდა. ამ საქმის თაოსნები იყვნენ გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, დიმიტრი ბაქრაძე, ვახტანგ თულაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, გიორგი წერეთელი, იონა მეუნარგია, ივანე მაჩაბელი და სხვ.

დამფუძნებელმა კ რ ე ბ ა მ (1879 წ. 15 მაისი) საზოგადოების თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი აირჩია, თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) — ილია ჭავჭავაძე, გამგეობის წევრებად: იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი; გამგეობის წევრობის კანდიდატებად: დიმიტრი ავალიშვილი, გიორგი უთურგაული და ნიკო ქანანოვი. ერთი წლის შემდეგ გამგეობის წევრებად დამატებით აირჩიეს გიორგი წერეთელი, იოანე მეუნარგია, თედო ჟორდანია, ივანე გამყრელიძე და გიორგი თუმანიშვილი.

1880 წელს საზოგადოებას 445 წევრი ჰყავდა. საზოგადოება უმთავრეს მიზნად დაწყებითი განათლების გავრცელებას ისახავდა და მან დაარსებისთანავე ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. 1879 წელსვე დაზუსტდა დაწყებითი სკოლების რაოდენობა და ადგილსამყოფელი. ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით ყველა სკოლას გაეგზავნა კითხვარი; გამგეობას აინტერესებდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის მდგომარეობა, მოსწავლეთა რიცხვი, მათ შორის ქალთა რაოდენობა, სკოლის საარსებო წყაროები, სახელმძღვანელოებით მოწაფეთა უზრუნველყოფა და სხვ.

დადგინდა, რომ სკოლების მატერიალური მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. საზოგადოების ფონდში ინახება ოზურგეთის მაზრის სოფელ ჩოჩხათის სკოლის გამგე-მასწავლებლის ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის), ზუგდიდის მაზრის სოფელ ნოჯიხევის სკოლის გამგე-მასწავლებლის სტეფანე სანებლიძისა და სხვათა წერილები, რომლებიც ნათელს ჰფენენ სკოლების სავალალო მდგომარეობას.

საზოგადოების გამგეობა პირველ ხანებში თავის მთავარ მოვალეობად უკვე არსებული სკოლების დახმარებას თვლიდა. სახსრები, რაც გამგეობას გააჩნდა, არ ჰყოფნიდა ახალი სკოლების დასაარსებლად.

გამგეობა თავიდანვე შეუდგა თბილისსა და ქუთაისში სკოლების დაარსების ა თ ვ ი ს ზრუნვას. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკებს, რომლებმაც 22 ათასი მანეთი გაიღეს (თითოეულმა—11 ათასი). თბილისსა და ქუთაისში გაიხსნა დაწყებითი ქართული სკოლები. მოსწავლეთა სიმცირის გამო თბილისის სკოლა მალე დაიხურა, ხოლო ქუთაისისა თანდათან გაფართოვდა, ჯერ პროგიმნაზიად, შემდეგ კი ცნობილ ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სკოლების გახსნას აჭარაში. მაჰმადიანი ქართველებისთვის ეროვნული თვითშეგნების განვითარების მთავარ საშუალებად საზოგადოების გამგეობას სკოლა მიაჩნდა. სწორედ ამ მიზნით საზოგადოებამ აჭარაში პირველი ქართული სკოლის გახსნის პირობების მოსამზადებლად ბათუმში ნ. ცხვედაძე მიავლინა.

ბათუმის სკოლა 1881 წლის 23 მარტს გაიხსნა. სკოლის გახსნას დაესწრო ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მგზნებარე სიტყვით მიმართა შეკრებილთ. მასწავლებლად მიწვეულ იქნა პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტი ალ. ნანეიშვილი, რომელიც ასწავლიდა ყველა საგანს. სკოლაში პირველად 28 მოსწავლე იყო, რომელთაგან 11 აჭარელი იყო. 1884 წელს სკოლაში 60 მოსწავლე იყო, აქედან 30 — აჭარელი.

ბათუმის საკუთარი სკოლის აგება 1891 წელს დამთავრდა. ამ სკოლამ დიდი როლი შეასრულა ადგილობრივი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში. სკოლამ არა ერთი და ორი ცნობილი მოღვაწე აღუზარდა ქართველ ხალხს. 1881-1913 წლებში ეს სკოლა 3242 ახალგაზრდამ დაამთავრა.

1882 წელს სოფელ წინარეხში (გორის მაზრა) გაიხსნა სკოლა, რომელშიც პირველ წელს 34 მოწაფე სწავლობდა, მათ შორის — 20 გოგონა.

1883 წლის 28 ნოემბერს გაიხსნა თონეთის სკოლა, რომელშიც ჩაირიცხა 36 მოწაფე (პირველ განყოფილებაში — 31, მეორე განყოფილებაში — 25), რომელთაგან 14 გოგონა იყო. ამ სკოლის პირველ მასწავლებლად გორის საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებული ბ. ჭილაძე დაინიშნა.

თონეთის სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა. თონეთის სკოლის მასწავლებლად დანიშვნამდე (1886), იგი ტოლათსოფლის სკოლაში მასწავლებლობდა; სკოლა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“ ეკუთვნოდა.

მოსწავლეებს უყვარდათ ვაჟა, სოფლის მამასახლისს მტკიცე ხასიათისა და მებრძოლი სულისათვის კი სძულდა იგი. მამასახლისი აგზავნიდა დამაბეზღებელ წერილებს და მიაღწია კიდეც მიზანს — ვაჟა მასწავლებლობიდან გაანთავისუფლეს.

1884 წლის პირველ ოქტომბერს გაიხსნა ხელთუბნის სასოფლო სკოლა. სკოლის საზეიმო გახსნაზე მხურვალე სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა: „ცხად მტერს, პირდაპირ მომავალს, შეუპოვრად მიეგებეჩი, მაგრამ რა ვუყოთ უჩინარს მტერს, რომელზედაც თვალი ახვეული გვაქვს. ეს უჩინარი მტერი არის უმეცრება და უსწავლელობა. სანამ ამას არ მოვიშორებთ, თვალი არ აგვეხილება. თვალის ასახელად კი სულ სხვაგვარი იარაღებია საჭირო და ის იარაღები აი ამისთანა სახლებიდან უნდა გამოიტანონ თქვენმა შვილებმა, რომ თქვენი ხვედრი აიცილონ, თორემ ხომ ხედავთ, რა გემართებათ დღეს: გიყვართ თქვენი მიწა-წყალი და ვერ უვლით! შრომობთ და ბარაქა არ არის... თუ გინდათ, რომ თქვენ შვილებსაც თქვენისთანა დღე არ ადგეთ, ამ სასწავლებელს მოსჭიდეთ ხელი, ეს არის ერთად ერთი თქვენი გამომხსნელი. აქ გამოზარდეთ შვილები და ისინიც სიყვარულით მოგიხსენიებენ“.

ამ სკოლის მასწავლებლად დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული სეით გამრეკელი. პირველ წელს სკოლაში 26 მოწაფე ჩაირიცხა, რომელთაგან 9 გოგონა იყო. სკოლის წლიური შემოსავალი 460 მანეთს შეადგენდა. ამ თანხის დიდი ნაწილი ანა მიხეილის ასულ თუმანიშვილის შეწირულებაზე მოდიოდა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 6 (522). ივნისი, 1980

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1980 წ.

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
რევაზ მარგიანი,
დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

...რქნის სახ. ...
სახ. ...ახლომ...
...
ბიბლიო...

თანდათან იზრდებოდა მოწაფეთა რიცხვი. 1887 წლისთვის აქ 44 მოწაფე სწავლობდა, აქედან — 16 გოგონა.

1884 წელს ქუთაისის სააზნაურო სკოლის ერთი მოსამზადებელი განყოფილება გადაიტანეს სოფელ ძველ სენაკში (სენაკის მაზრა), მას მეორე განყოფილებაც დაემატა და დაარსდა ორგანყოფილებიანი სკოლა. მალე მას მესამე და მეოთხე განყოფილებები დაემატა და სრულ სასწავლებლად გადაიქცა.

ერთ წელიწადში ადგილობრივი სახსრებით აშენდა სკოლის შენობა „იმ ადგილზედ, რომელიც დაუთმო უსასყიდლოდ უგანათლებულესმა თავადმა სამეგრელოისამ ნიკოლოზ დავითის ძე დადიანმა“.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ აკაკი წერეთელს სთხოვა სკოლის ახალი შენობის საზეიმო კურთხევაში მონაწილეობა და სიტყვის წარმოთქმა, რაც დიდმა პოეტმა სიამოვნებით შეასრულა.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში ძველი სენაკის ქართული სკოლის გახსნა დიდი მოვლენა იყო. ამ სკოლაში აღიზარდნენ აკადემიკოსები: კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, პეტრე ქავთარაძე და ბევრი სხვა გამოჩენილი მოღვაწე.

ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ვლადიკავკაზსა და ნალჩიკში ბევრი ქართველი ცხოვრობდა. ქართველი ბავშვებისთვის სკოლის დაარსება ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ მიხეილ ზაალის ძე ყიფიანმა ითავა. 1888 წლის 30 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ განიხილა მ. ყიფიანის თხოვნა კავკავში (ახლანდელი ორჯონიკიძე) ქართული სკოლის გახსნის შესახებ. გამგეობა საპასუხო წერილში კისრულობდა, მომავალი სკოლისთვის ერთდროულად 200 მანეთი გამოეყო, გამოენახა მასწავლებელი და მოწაფეებისთვის ყოველწლიურად წიგნები ეგზავნა. მიუხედავად საზოგადოების მხრივ ასეთი მცირე დახმარებისა, კავკაველმა ქართველებმა მაინც შეძლეს სკოლის დაარსება. 1888 წლის 20 ოქტომბერს გაიხსნა კავკავის ქართული სკოლა. გამგეობამ მასწავლებლად თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ივანე ბეღელაძე მიავლინა. 1892 წელს ი. გოგებაშვილის წარდგინებით სკოლის მასწავლებლად ცნობილი ქართველი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე დაინიშნა. 1890 წელს ამ სკოლის სამ განყოფილებაში 44 მოწაფე სწავლობდა, 1896 წელს კი — 100 მოწაფე (აქედან — 35 გოგონა).

კავკავის ქართულმა სკოლამ დიდი ამაგი დასდო ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეს.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ სულ 33 სკოლა გახსნა.

საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, რომლებშიც პირველ ორ წელს სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. 1893 წელს დახმარება გაეწია ხეთის, 1896 წელს — ახალციხის, 1897 წელს — გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლებს და სხვ.

ქართული სკოლების ქსელის გაფართოება სათანადო სახელმძღვანელოებსა და დამხმარე წიგნებს მოითხოვდა. ამიტომ საზოგადოების გამგეობამ თავიდანვე აიღო სასწავლო წიგნების შედგენისა და გამოცემის კურსი. პერიოდულად ცხადდებოდა კონკურსები და წესდებოდა პრემიები საუკეთესო სახელმძღვანელოებისათვის.

გამგეობის წევრები ი. ჭავჭავაძე, ი. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. უთურგაული და სხვები საგულდაგულოდ ამოწმებდნენ და რეცენზიებს წერდნენ შემოსულ სახელმძღვანელოებზე.

ი. გოგებაშვილმა თავისი სახელმოხვეჭილი სახელმძღვანელოების გამოცემა საზოგადოების გამგეობას მეტად ხელსაყრელ პირობებში გადასცა, რამაც საზოგადოების მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.

1886 წელს სხდომაზე, რომელიც საგურამოში შედგა, გამგეობამ გადაწყვიტა საკუთარი სტამბის მოწყობა და ამ მიზნისთვის თხუთმეტი ათასი მანეთი გამოყო. ეს გადაწყვეტილება, ოფიციალური ხელისუფლებისაგან წინააღმდეგობისა და ფინანსური სიძნელეების გამო, იმხანად ვერ განხორციელდა (უფრო მოგვიანებით, 1913 წელს, საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ საკუთარი სტამბა დააარსა). რაკი საკუთარი სტამბის დაარსება ვერ მოხერხდა, გამგეობის მიერ მოწონებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების დაბეჭდვა კერძო პირებისა და დაწესებულებების სტამბებს მიენდოთ. საზოგადოება პერიოდულად სცემდა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, რ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებს, ი. მაჩაბლის, გ. იოსელიანის თარგმანებს და სხვ. საზოგადოება ძირითადად მცირე მოცულობის წიგნების გამოცემით კმაყოფილდებოდა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ დააარსა ბიბლიოთეკებიც.

1879 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „საზოგადოების მმართველობამ გადასწყვიტა ბიბლიოთეკის გამართვა საზოგადოების წევრთათვის და საყოველთაო საკითხავად. რადგანაც წესდების საზოგადო აზრით, ბიბლიოთეკა უნდა იყოს უმეტეს ნაწილ მაინც, შემდგარი ქართული წიგნებისაგან და ქართული წიგნები კი უფრო უმეტესად ხელ-ნაწერებია და დღითიდღე თანდათან იკარგებიან, საჭირო იყო მმართველობა ეხლავე შესდგომოდა ამ ბიბლიოთეკის გამართვას და შეეკრიფა ერთ ადგილს ეს ქართული ძველის და ახალის ლიტერატურის ნაწარმოებნი. მმართველობას იმედი აქვს, რომ ყოველი წევრი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა აღმოუჩენს წიგნების შეწირვით შემწეობას“.

საზოგადოებამ შეადგინა ხელნაწერთა შეგროვებისა და წიგნების შემოწირვის წესი და პრესაში გამოაქვეყნა.

ამ მიმართვას და წესის გამოქვეყნებას მალე პრაქტიკული დახმარება მოჰყვა. ამავე წლის ივნისში რაფიელ ერისთავმა, ი. გ. ზუბალაშვილმა, კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ, დ. ი. მუსხელიშვილმა, გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ საზოგადოებას ბიბლიოთეკის დაარსების მიზნით წიგნები და ფული შესწირეს.

1881 წელს ი. ჭავჭავაძემ, ი. შალიკაშვილმა, ექვ. ხელაძემ, რ. ინაშვილმა, ი. მაჩაბელმა და სხვებმა საზოგადოებას შესწირეს წიგნები, ხელნაწერები და ფული. აფხაზეთის საზოგადოებამ გრიგოლ შერვაშიძის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის 186 მანეთი შეაგროვა.

1882 წელს საზოგადოებას ბიბლიოთეკაში ჰქონდა 473 წიგნი, აქედან — 173 ხელნაწერი, 300 დაბეჭდილი.

1917 წლამდე საზოგადოებამ დააარსა ასზე მეტი ბიბლიოთეკა.

1884 წელს თბილისში საზოგადოების ბიბლიოთეკასთან დაარსდა მუზეუმი, სადაც ძველ ხელნაწერებთან ერთად გამოფინეს ნუმიზმატიკური ნიშნები, რომელთა კოლექცია საკმაოდ ბევრი იყო.

1884 წელს ამ მუზეუმს სამეგრელოს მთავრის შვილმა ნიკოლოზ დავითის ძე დადიანმა ძვირფასი ნივთები შესწირა. 1884 წლის ანგარიშში ეს შეწირულება ასეა შეფასებული: „...ესე საჩუქარი არის დიდი და ფას-დაუდებელი სამთავრო ბიბლიოთეკა ძველ ხელ-ნაწერთა, რომელთა რიცხვი შეადგენს 179 ცალს. ხელნაწერთ შორის მოიპოვება მეტად შესანიშნავი მანუსკრიპტნი ეტრატზე VII, VIII და IX საუკუნეებისა“.

შეწირულებათა შორის იყო შოთა რუსთაველის პორტრეტი.

ამ საჩუქრის მისაღებად სოფელ გორდში, დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში, ილია ჭავჭავაძე ჩავიდა და საჩუქარი თბილისში ჩამოიტანა.

მუზეუმს ექსპონატები შესწირეს სოფრომ მგალობლიშვილმა, გიორგი ხელიძემ, რაფიელ ერისთავმა, დავით ბარათაშვილმა, გიორგი საძაგლიშვილმა, ივანე სულხანიშვილმა, დიმიტრი ჯანაშვილმა, ალექსანდრე გულისაშვილმა, გრიგოლ გურიელმა და სხვებმა.

საზოგადოება ატარებდა მწერალთა და მოღვაწეთა იუბილეებს, ლიტერატურულ საღამოებს და სხვ.

1918 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლები და ბიბლიოთეკები ერობებს გადაეცა, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ — განათლების სახალხო კომისარიატს. საზოგადოების მუზეუმის ექსპონატები სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. 1922 წელს მას „წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი საზოგადოება“ ეწოდა და 1927 წლამდე იარსება.

არსებობის ოთხ ათეულზე მეტი წლის მანძილზე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში — იგი განათლებისა და კულტურის ჩირაღდნად ენთო რევოლუციამდელ საქართველოში.





გიორგი ლეონიძე

# ლექსის ხიბლი

გიორგი ჩარკვიანი

პოეტების ქალაქში გაზაფხულის ცვრიანი დილა ძველებურად გამაბრუებელია. მთაწმინდის ნაზამთრალ მუქ კალთებზე თეთრად ყვავიან ნუშის ხეები და რიყრაყი ისევ ისე ლვინისფრად ღებავს ჯერ კიდევ ნეტარყუჩობაში მყოფ სახლებს. მოდიდებულ მტკვარს ძალა მომატებია, ხმა დაბოხებია და ერთიანად ამღვრეული თავდაუზოგავად ეხეთქება ჯებირებს.

გაზაფხულია — სიყვარულის მოციქული, ბედნიერების მაცნე, სიჭაბუკის მახარობელი. ეს მერამდენედ, ვინ იცის, ყოველგვარი ბრძოლის, სროლისა და ჩეხვის გარეშე გატყდა მის წინაშე თბილის-ქალაქის ციხე-სიმაგრე და ყველაზე მაღალ კოშკზე კვლავ მწვანე ბაირაღი აფრიალდა. ნიავი უკვდავებაზე ეჩურჩულება და მრავალგზის დარბეულს, მიწასთან გასწორებულს და მკვდრეთით აღმდგარ დედაქალაქს სწამს თავისი უკვდავუბერებლობისა. მონაგონ ამბად ეჩვენება შემაძრწუნებელი სინამდვილე იმ გარდასულ დროთა, როდესაც მტერი გაафთრებით გლეჯდა მის სხეულს, ლეწავდა სახლებს, სისხლით ღებავდა მოედნებს და ნარიყალას თავზე მთვარის ნაცვლად ბოროტთვალება მონღოლური ანგელოსი იდგა ვერცხლით ნაჭედ იატაგანით ხელში.

ალბათ, არ არის გასაკვირი, რომ დღეს ამის გახსენება არ უნდოდეს გაზაფხულის სურნელით გაბრუებულ ქალაქს, რომელსაც დილის მზესთან ერთად მთაწმინდის კალთებზე კელაპტრებად ანთებული თეთრი ნუშის ხეები ფენენ სხივებს.

და მახათის ტიტველ მთიდან
ყვითლად მობაბანე,
სალვინით და შოთისპურით
მზე დაადგა ბანებს,
ჩაქრა ყველა ვარსკვლავები,
ვით კამეჩის თვალი,
ქარმა ქალაქს დაუშინა
ნუშის ნაფერთალი...
თბილისი კი ისუნთქავდა
მზის შუქს გამაკურნელს
და ჰყნოსავდა ლექსებისა
და ტარხუნის სურნელს.

ეს სტრიქონები გიორგი ლეონიძეს ეკუთვნის, დიდ ქართველ პოეტს, რომლის დაბადების ოთხმოცი წლისთავს ფართოდ აღნიშნავს ჩვენი ხალხი.

გიორგი ლეონიძის პოეზიის ორგანული თვისებაა სიცოცხლის წყურვილი, სიცოცხლის სიყვარული, რის შედეგსაც მხნე ინტონაცია, ენერგიული, დინამიური ფრაზა, მღელვარე მეტაფორები და ეპითეტები წარმოადგენენ. მისთვის დამახასიათებელია ოპტიმიზმი, რომელსაც ქარაფშუტულ აღტყინებასთან, ზედაპირულ, მსუბუქ აღფრთოვანებასთან არაფერი აქვს საერთო. იგი ტანჯვითა და წამებითაა მოპოვებული და სწორედ ამიტომაა ძლიერი და ქმედითი. ამას ხაზი უნდა გაესვას, ვინაიდან თავისთავად სიცოცხლის სიყვარული ოპტიმიზმის გარანტია ჯერ კიდევ ვერ იქნება. ყოფილა შემთხვევები, პირიქით, პესიმიზმის აკვანი დაურწევია, რადგანაც გათანგულა დროის დაუნდობელი სრბოლის შეგნებით, ვერ შერიგებია ამა სოფლის სიამეთა წარმავლობას, რასაც გულგრილი, ფუქსავატი გონების ადამიანი ადვილად ეგუება იმის გამო, რომ ქვეცნობიერად არცა სჯერა, თუ მისი სიცოცხლე ბუნების იმავე კანონებს ემორჩილება, რომლებსაც ემორჩილება სხვა ადამიანების სიცოცხლე.

გიორგი ლეონიძის ოპტიმიზმი დრამატული ხასიათისაა. საკმარისია, გავიხსენოთ ისტორიულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებები, პოემები „სამგორი“ და „ფორთოხალა“ იქნება ეს, თუ ლექსები „მეცამეტე საუკუნე“, „იქ, სადაც რკინის პალოთი“, „ქართლის ცხოვრებისადმი“ მიძღვნილი ციკლი. პოეტი დაუფარავად ლაპარაკობს მშობელი ხალხის ისტორიულ ძნელბედობაზე, ერიდება მოვლენების შელამაზებას, შეცნობილი აქვს პარადოქსული ჭეშმარიტება —

და რაც თმას ყალყზე აყენებს,
რაც მწარედ გემახსოვრება...
ქართლის მკვლელობის ძველ ამბავს
უწოდეს „ქართლის ცხოვრება“.

მაგრამ პოეტი სძლევს მინორულ განწყობილებას და ეს ლექსები საბოლოო ჯამში მაინც მაჟორულ ჟღერადობას იძენენ, რაც ისტორიის ჩარხის შემობრუნებითაა გამოწვეული, იმით, რომ ერმა, მიუხედავად თითქოსდა დაუძლეველი დაბრკოლებებისა, ბედნიერი მომავლისაკენ გაიკაფა გზა, არ შედრკა, არავის დაემონა, არ გაეგო ფეხქვეშ ფიანდაზად.

ეს ფაქტი ამ ნაწარმოებებს მედგარ, ვაჟკაცურ სულს და გაუტეხელ გულს ანიჭებს. „და მიხარია, რომ ისევ დგეხარ“, — მიმართავს პოეტი თბილისს და მისი სახით — მთელ საქართველოს. ახალი, თავისუფალი ცხოვრება ათქმევინებს შთამბეჭდავ და ლაღ სტრიქონებს:

გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ
მნახველი;
სამშობლო — ჩემი გულის
ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი.

ეს არაა ლიტონი სიტყვები, უბრალო დეკლარაცია. სამშობლოს თემა, პატრიოტიზმი გიორგი ლეონიძის შემოქმედების ღერძი და დედააზრია. სხვა მიზეზების გარდა, ამის გამოცაა, რომ უფრო მეტად ეროვნული პოეტი, ვიდრე გიორგი ლეონიძეა, იშვიათად მოიძებნება... ჭეშმარიტი, მაღალი ეროვნულობა, რომელიც შორსაა ხალხური ლექსის პრიმიტიულ გადამღერება-მიმბაძველობისაგან, მისი პოეტური სამყაროს მთავარი განზომილებაა, ურომლისოდაც ხსენებულ სამყაროს აზრი დაეკარგებოდა, სივრცე სიბრტყედ იქცეოდა. გიორგი ლეონიძე მართლა სახალხო პოეტი იყო მთელი თავისი არსით, მადლიანი, ბაჯაღლო ტალანტით. მინიჭებული წოდება რეალურ ფაქტს ადასტურებდა მხოლოდ და მხოლოდ.

ცხადია, მე ვერ დავისახავ მიზნად ვრცლად და ამომწურავად ვილაპარაკო გიორგი ლეონიძის შემოქმედებაზე. ამგვარი ამოცანის გადაწყვეტა სქელტანიან მეცნიერულ შრომას ძალუძს და არა საჟურნალო სტატიას. აქ მარტოოდენ გაკვრით შევეხები ზოგიერთ ლექსს.

პირველ რიგში უდაოდ „ოლეს“ უნდა მივმართო.

ნაოსნობაში არსებობს ამგვარი ცნება — ფლაგმანი. ხომალდს, რომელიც გემების ჯგუფს — ესკადრას უძღვის წინ, ასე ეწოდება. პოეზია, რა თქმა უნდა, ოკეანეა — ხან წყნარი და ალერსიანი, ხან ქარიშხლიანი და მშფოთვარე. ამ ოკეანეში ცურვა მარადჟამს დიდკაცთა ხვედრია, ხოლო ვინც აქ სამეკობროდ არის გასული, მას დიდი დღე არ უწერია — უნაპირო სტიქიონი დაუზოგველად დანთქავს, არ აპატიებს გრაფომანულ უტიფრობას, რასაც არაფერი აქვს საერთო პოეტურ გამბედაობასთან.

„ოლე“ გიორგი ლეონიძის შემოქმედების ფლაგმანია. ასეთი ფლაგმანია „ყორანი“ ედგარ პოს და „მთვრალი ხომალდი“ არტურ რემბოს პოეზიი-

სათვის (აქვე ფრჩხილებში აღვნიშნავთ, რომ ამ ბოლო ლექსს ეთაყვანებოდა ახალგაზრდა ლეონიძე).

„ოლე“ დაწერილია როგორც პოეტის მიმართვა ლიახვის პირას მდგარი ხისადმი, მაგრამ ერთდროულად მონოლოგადაც აღიქმება. რატომ ხდება ასე, — ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. ეს პოეზიის მომაჯადოებელი იდუმალების ახსნის ცდა იქნება, ალბათ, თავიდანვე მარცხისათვის განწირული. დიახ, მონოლოგია! ამას საბოლოოდ იწამებ, როდესაც ავტორისეულ კითხვას მოისმენ. არსებობს ასეთი უნიკალური ჩანაწერი. სამწუხაროდ, მისი გრამფირფიტების საშუალებით გამრავლება არავის მოსვლია აზრად. ისე კი დროა პოეტების ფირფიტების მასიურ გამოშვებაზე ვიფიქროთ, ამ გზითაც გავუწიოთ პოეზიას პროპაგანდა. არის მაიაკოვსკის, ესენინის, სვეტლოვის, ბევრი სხვა საბჭოთა პოეტის ფირფიტები. განა ნათელი არაა, რომ აკაკის, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის ხმა ყველა ქართულ ოჯახში უნდა ინახებოდეს?

თუმცა „ოლეს“ დავუბრუნდეთ. ლექსის გასაოცარი ემოციურობა, აზრის ბოლომდე ჩაუწვდომელი სიღრმე განუმეორებელ მხატვრულ სახეებში ვლინდებიან, რომლებიც პოეზიის ხელოვნების სახელმძღვანელოს ნებისმიერ ავტორს შესანიშნავ ნიმუშებად გამოადგებოდნენ. ის უკვე სხვა საკითხია, საერთოდ, საჭიროა თუ არა ამგვარი სახელმძღვანელოები...

დგეხარ, როგორც სახრჩობელა, —
თვით გახრჩობენ მთები;
დაკიდებულ არწივს ჰგევხარ
მომსხვრეული ფრთებით.
რაშო, მიწას მიჭედილო,
ველარ აიქროლე;
პარტახო და ნამეხარო,
მარტოხეო ოლე.

ანდა:

მოდი ჩემთან, დაგაპურო,
არ გინახავს ხემსი,
მე აგიყვან ხელში, როგორც
ნაპოვნ ბატკანს მწყემსი.

მე უკვე ვთქვი, რომ გიორგი ლეონიძისათვის უცხოა ხალხური ლექსისადმი მიბაძვა. მისი შემოქმედების ფოლკლორთან რთული, არასწორხაზოვანი კავშირის ცხადი დადასტურებაა „ყივჩაყის პაემანი“, რომელიც სათავეს საყოველთაოდ ცნობილ მუხრანულ ბალადაში იღებს და ამასთან ერთად შეიცავს ერთ ოდნავ შეცვლილ ფრაზას „ვეფხისტყაოსნიდან“. ფოლკლორსა და კლასიკაზე დაყრდნობით ასეთი უაღრესად ორიგინალური ნაწარმოების შექმნა მხოლოდ შესანიშნავი ოსტატისთვისაა ხელმისაწვდომი. „ყივჩაყის პაემანის“ მგვრგვინავი, მქუხარე სტრიქონები ქართული პოეზიის საგანძურში სრული უფლებითაა შესული.

„ნინოწმინდის ღამე“. მე მგონი, კონკრეტულ არქიტექტურულ ძეგლზე — წარსულის უტყვ მოწმეზე პირველად ჩვენს პოეზიაში გრიგოლ ორბელიანმა დაწერა. მხედველობაში მაქვს შედევრი — „თამარ-მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. გიორგი ლეონიძემ კლასიკური მწერლობის ეს ხაზი გააგრძელა, გაითავისა. მის ლექსებში შეხვდებით მეტეხს, ნარიყალას, სვეტიცხოველს, ანანურის ციხეს, ბაგრატისა და გელათის ტაძრებს, ალავერდს... ლექსები არქიტექტურულ ნაგებობებს კი არ ეძღვნება, მათ, ასე ვთქვათ, ბიოგრაფიას კი არ გადმოსცემენ, ტაძარი თუ ციხე-სიმაგრე პოეტური თხრობის დეტალად გვევლინება, უმეტეს შემთხვევაში მრავალმნიშვნელოვან დეტალად, რომელიც განსხვავებულ აზრს ანიჭებს, ისტორიულ მოცულობას უქმნის ამა თუ იმ ამბავს. იგივე „ნინოწმინდის ღამეში“ წამყვანი სატრფიალო თემაა, მაგრამ სულ სხვა ელფერს სძენს ლექსს ისტორიული ფონი, ის, რომ ამბავი ნინოწმინდის გალავანში ხდება. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივად აღიქმება შედარებები — „ჩვენ, როგორც ხაზარები, ოჰ! იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა“, ანდა — „როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია“. სხვა კონტექსტში სიყვარულის ტამერლანის ხმალთან შედარება ალბათ გაუმართლებელი, პრეტენზიული, ხელოვნური იქნებოდა. აქ კი აბა ერთი გამოვტოვოთ ტამერლანის სახელი! მხატვრული დანაკარგი მეტად საგრძნობი იქნებოდა.

გიორგი ლეონიძე თბილისის მომღერალი იყო. დედაქალაქისადმი სიყვარული მრავალ ლექსში ვლინდება „მთაწმინდიდან ქარს მოქონდა“, „თბილისური გაზაფხული“, „დილა კრწანისის ბაღში“, „მაშ რა ვუყოთ, პოეტებო!“... კრიტიკაში გამოთქმულა აზრი, თითქოს პოეტი მოეხიბლოს ძველთბილისურ ეგზოტიკას და მხატვრული ხარკიც გაეღოს მისთვის. ვფიქრობ, ეს თეზისი უსაფუძვლოა. გიორგი ლეონიძემ თბილისის კოლორიტი გადმოსცა, მისი სული და არა ეგზოტიკა. ეს უკანასკნელი სიყალბეს შეიცავს, მას დიდი ხალისით ტურისტები ემუშტრებიან, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა, ბუნებრივია, გულგრილია მისდამი. აქვე ღირს ერთ რამეზე ყურადღების გამახვილება. ბოლო ხანებში იმძლავრა ტენდენციამ, ასე ვთქვათ, კინტოური რომანტიკის განდიდებისა ესტრადაზე, ტელევიზიაში. ეს უსარგებლო, მეტიც — მავნე ტენდენციაა. საკმარისია გავიხსენოთ, როგორ ახასიათებს კინტოს იოსებ გრიშაშვილი წიგნში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. უარყოფით დამოკიდებულებას ხელოვნურად რომანტიზირებული წარსულის უღირსი მოვლენებისადმი იჩენს გიორგი ლეონიძე. ამის მაგალითია „თბილისის ოსტატები“.

აქ ადიდებდნენ დამპალ კინტოს,
თათრულ მუხამბაზს,
აბანოს წვირეს, შუა ბაზრის
კორიანტელსა,
გაბერილ შარვალს, ყარაჩოხელს...
(გასამხელია?)
აქ ივიწყებდნენ ფიროსმანის
მზიან მუშამბას,
ბექა ოპიზარს, ოსტატობის წმინდა
ანდერძსა.
აქ ივიწყებდნენ ძველ პოეტებს
ოქროსყელიანს...

ერთ-ერთ ასეთ ოქროსყელიან თბილისელ პოეტად გიორგი ლეონიძეს საიათნოვა მიაჩნდა, მის სახელს ხშირად ახსენებდა ლექსებში. „ეს საწყალი საათნავა სიყვარულმა გაათავა“, „ბესიკსა და საათნავას სიყვარული სწამდათ განა?“ „საათნავას გაყინულ სუდარაში ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები“... სხვათა შორის ლექსი, რომლიდანაც ბოლო ციტატაა მოყვანილი, თერთმეტმარცვლიანია, მაშასადამე მუხამბაზია. მაშ რაღა აზრი აქვს „თათრული მუხამბაზის“ გაკიცხვას? საქმე ისაა, რომ „თბილისის ოსტატებში“ პოეტმა გაკიცხა ეპიგონობა, აღმოსავლური მოტივების უნიჭო და მომაბეზრებელი გადამღერება, მაგრამ მუხამბაზი, როგორც ლექსის ზომა, რომელსაც საიათნოვა, გრიგოლ ორბელიანი და აკაკი მიმართავდნენ, არ დაუგმია.

გიორგი ლეონიძის ლირიკას სიჭაბუკის ტრფიალი წითელ ზოლად გასდევს. თუმცა, მედალს ორი მხარე აქვს. პოეტი მძაფრად განიცდის დროის სწრაფმავალ მსვლელობას, სიჭაბუკის დაკარგვის გარდუვალობას.

განა გასძლებს სიჭაბუკე?
ვაი, შენი ბრალო,
ხელებ შუა გაქანდება,
ვით ნიაღვრის წყალი.

ამ თემას არა ერთ და ორ ლექსში უბრუნდება. მინდა გამოვყო „სიმღერა პირველი თოვლისა“ და „თუშის ქალს ალავერდობაში“, „სიმღერა“ ნაღვლიანი და ომახიანია ერთდროულად. ძახილი — „ჩქარა, თორემ წასულა ჩემი ახალგაზრდობა!“ შეიძლება სასოწარკვეთილ გმინვად ქცეულიყო, შინაგანი ზღვარდაუდები ენერგია, ჭაბუკური დუღილი რომ არა. გჯერა, პოეტი დაეწევა გაქროლილ სიჭაბუკეს, არსად არ გაუშვებს, მუდმივ თანამგზავრად გაიხდის.

„ალავერდობაში“ გაჭენებულ ცხენზე მჯდარი ქალი მიამსგავსა პოეტმა თავის ახალგაზრდობას. მაგრამ აქ იგი უკვე ურიგდება იმ მტანჯველ გარემოებას, რომ ახლო მომავალში „სხვა იჯირითებს, სხვა იმღერს, სხვა მზეში ნაზიარები“.

საერთოდ, ცნობილია, რომ სიჭაბუკის წარმავალობაზე მეტწილად ახალგაზრდა პოეტები წერენ. გიორგი ლეონიძე ამ თემას ხანდაზმულობისასაც უბრუნდება — „ნუთუ ჭაღარამ მეც არ დამინდო?!“ თუმცა, მიუხედავად ჭეშმარიტი მწუხარებისა, პოეტი გამოუვალობის ჩიხში არ ექცევა. „მზე მარჯნისფერად ისევ ბდღვრიალებს!“ — ეს ფრაზა ნებით თუ უნებლიეთ სიცოცხლის სიდიადის დამამკვიდრებელია და სინანულთან ერთად სიხარულსაც იტევს, სიხარულს სხვების ახალგაზრდობის და ქვეყნის უბერებლობის გამო განცდილს.

...და გარდა ამისა, პოეტი ალბათ გრძნობდა, რომ მის ლექსებსაც არ უწერიათ სიბერე. სწორედ გრძნობდა.

# ვაზს მხარში უდგას მეცნიერება

**ნოდარ ჩხარტიშვილი,**

მევენახეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

მევენახეთა, მევენახეობისა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც 7 ივნისს თელავში ჩატარდა, ნათელი დადასტურება იყო იმ დიდი ზრუნვისა, რასაც ჩვენი პარტია იჩენს ამ მაღალრენტაბელური დარგების შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენი ვენახების დღევანდელი მდგომარეობა გვარწმუნებს იმაში, რომ ყველა შესაძლებლობის გონივრული გამოყენებით რეალური გახდება ყურძნის დამზადების ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თათბირზე დიდი შეფასება მისცა რესპუბლიკის მევენახეობისა და მეღვინეობის მეცნიერულ საფუძველზე განვითარების საქმეს, დასახა ახალი ამოცანები ამ დარგების შემდგომი განვითარებისათვის.

თათბირზე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ ბევრია გადაუჭრელი პრობლემა: სეტყვისა და ყინვისაგან ვენახების დაცვა, ვაზის ქლოროზის წინააღმდეგ რადიკალური ღონისძიებების გამომუშავება და სხვა. ეს პრობლემები ხანგრძლივ და საფუძვლიან მეცნიერულ კვლევას მოითხოვს.

უკანასკნელ წლებში ბევრი მეცნიერული რეკომენდაცია წარმატებით დაინერგა წარმოებაში. მათ სასურველი შედეგი მოგვცეს. სწორედ ვაზის ნამყენი ნერგის წარმოების ახალი ტექნოლოგიისა და ტექნიკური საშუალებების დანერგვამ გადაწყვიტა რესპუბლიკის ვაზის ნამყენი ნერგით უზრუნველყოფის საკითხი. ახალშენი ვენახების დღევანდელი სასურველი მდგომარეობაც ნაწილობრივ მეცნიერული რეკომენდაციების შედეგია. თუმცაღა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ბევრი სასარგებლო, მაღალეფექტური რეკომენდებული ღონისძიება დროულად არ ინერგება წარმოებაში, ან, არაკვალიფიციური შესრულების გამო არ იძლევა მაღალ ეფექტს.

მეცნიერული ღონისძიებები და საშუალებები საკმაოდ ბევრი გვაქვს. შევჩერდეთ რამდენიმე მათგანზე.

თვალში საცემია რესპუბლიკის ზვრების დასარეველიანება. ვენახებში ნაკლებად იყენებენ ჰერბიციდებს. ვინც იგი გონივრულად გამოიყენა, სასურველი ეფექტიც მიიღო.

მთელი რიგი საჭირო ღონისძიებების გავრცელებას ძირითადად ხელს უშლის საქმისადმი სპეციალისტთა ან ხელმძღვანელთა სკეპტიკური, სუბიექტური და არაკვალიფიციური დამოკიდებულება, მეცნიერული რეკომენდაციებისადმი უნდობლობა; ხელისშემშლელია აგრეთვე რესპუბლიკაში ახალი, ეფექტური პრეპარატების ნაკლებობა.

ვაზის მსხმოიარობის დამაჩქარებელი ღონისძიებების სიკეთე უკვე დაადასტურა ცხოვრებამ. ამ ღონისძიებების გამოყენებით რესპუბლიკა ყოველწლიურად დამატებით მიიღებს 70—80 ათას ტონა ყურძენს.

დიდი ეკონომიკური ეფექტით ხასიათდება ნერგის გამოყვანა ტორფნეშომპალიან ქილებში. აქ მწვანე ნერგის გამოსავლიანობა 80—90 პროცენტს აღწევს. ეს მეთოდი გამორიცხავს სანერგე მეურნეობას და ერთი წლით აჩქარებს ვაზის შესვლას მსხმოიარობაში; რაც მთავარია, ახალშენ ვენახში, მწვანე ნერგის გამორგვით, გაშენების წელსვე ივსება მეჩხერი ადგილები.

მასალის უქონლობის გამო, წარმოებაში არ დაინერგა ვაზის დარგვა პოლიეთილენის გარსაცმით. ეს ღონისძიება თითოეულ ჰექტარზე იძლევა 60—70 მანეთის ეკონომიას და მძიმე შრომისაგან ათავისუფლებს ბევრ მუშახელს.

მევენახეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არც ერთი აგროტექნიკური ღონისძიება არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრესულად, თუ იგი არ ითვალისწინებს შრომატევადი სამუშაო პროცესების შემცირებას. მწკრივთაშორისების გაფართოება და შტამბის ამაღლება ვენახში, ნაწილობრივ, ამ მიზანს ემსახურება.

სპეციალიზებულ სანერგე მეურნეობებთან დღემდე არ გაგვაჩნია ელიტურ სანამყენეთა სადედე ნაკვეთები. სამყნობი მასალა ხშირად მზადდება არაპრობირებული ნაკვეთებიდან, რის გამოც ნარგაობაში გვხვდება მცირემოსავლიანი ან სრულიად უმოსავლო ფორმები. სპეციალიზებულ სანერგეებთან საჭიროა შეიქმნას სტანდარტული ჯიშების, მაღალმოსავლიანი კლონების სანამყენეთა ელიტური სადედე ნაკვეთები. განსაკუთრებით უნდა დაჩქარდეს უხვმოსავლიანი კლონების გავრცელება.

რესპუბლიკაში არ სრულდება უნიკალური ჯიშების მყნობისა და გაშენების გეგმები. ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ სადედეების უქონლობა და ისიც, რომ წარმოების მუშაკები ერიდებიან ამ ჯიშების გაშენებას შედარებით დაბალი მოსავლისა და მოვლის განსაკუთრებული თვისებების გამო. ქართველი სელექციონერების მიერ გამოვლენილია და რეკომენდებულია ძირითადი სტანდარტული ჯიშების, მათ შორის ე. წ. უნიკალური ჯიშების უხვმოსავლიანი კლონები, რომლებიც ინარჩუნებენ ძირითადი ჯიშის ხარისხობრივ თვისებებს და იძლევიან 20-25 პროცენტით მეტ მოსავალს. უკანასკნელ წლებში აღნიშნული კლონების სადედე ნაკვეთები გაშენდა 400 ჰექტარზე მეტ ფართობზე, რომელიც წარმოადგენს ძირითად ბაზას მათი შემდგომი გამრავლებისათვის. ახლა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო და სანერგე მეურნეობის ტრესტთან ერთად ჩვენი ინსტიტუტი მზად არის ამ დიდი საქმის გასაკეთებლად.

ყველას გვაწუხებს დასავლეთ საქართველოს მევენახეობის დღევანდელი მდგომარეობა. აქ ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი: მთავარი, რამაც შეაფერხა აღნიშნულ ზონაში მევენახეობის განვითარება, არის ხელით შრომა. აქ ბრალი შესაბამის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს მიგვიძღვის: თავის დროზე არ მიექცა ყურადღება მცირე მექანიზაციის შექმნას. არც ახლა გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

როცა ყურძნის მოსავლიანობის გაზრდის პრობლემაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიზრუნოთ ყურძნის ხარისხის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზეც.

აგროტექნიკური ღონისძიება მისაღები და პროგრესულია იმ შემთხვევაში, თუ იგი ყურძნის მოსავლის მატებასთან ერთად უზრუნველყოფს ჯიშისათვის დამახასიათებელი ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას.

ვენახის გაშენების, მოვლის, რთველის და ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესი ერთ მთლიანობაში უნდა განვიხილოთ.

სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში. მან თქვა: „ვაზის მტევანი არა მარტო ჩვენი მეურნეობრივი აღმავლობის სიმბოლოა, ვაზის მტევანი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ალიარებული სიმბოლოც გახდა — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გერბს პურის თავთავებთან ერთად ვაზის მტევანიც ამშვენებს“.

ქართველ მევენახეებსა და მეღვინეებს შესანიშნავად ესმით ამ სიტყვების დედააზრი; მათი დიდი შემართება შემდგომი წარმატებების საიმედო საწინდარია.

---



## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ამხ. ი. ი. ჩხიკვიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და საბჭოთა პრესაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ირაკლი იოსების ძე **ჩხიკვიშვილი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის**
**თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის**
**მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი.
1980 წლის 8 მაისი.

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია მრავალათასიან მკითხველთან ერთად მხურვალედ ულოცავს სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ამხანაგ **ირაკლი იოსების ძე ჩხიკვიშვილს** დაბადების 60 წლისთავს და უსურვებს მას დიდ წარმატებებს თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

# ახალგაზრდების დამრიგებელი

სიმონ წვერავა



ტრიფონ როსტიაშვილი

ტელეფონის ზარის წკრიალი არ წყდებოდა.

ყურმილს ოჯახის უფროსი ტრიფონ როსტიაშვილი იღებდა.

— გილოცავ!

— ყველა გაგვახარე!

— ყოჩაღ, ჩემო ტრიფონ!

— თქვენ საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენელი ხართ!

— გეხვევი, გკოცნი!

დაუსრულებლად ენაცვლებოდა ერთმანეთს ნათესავების, მეგობრების, ქარხნის მუშების, ხელმძღვანელი ამხანაგების მილოცვები.

მოულოდნელად კარი გაიღო. ოთახში შევიდნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი პანტიკო თორდია, პარტიული კომიტეტის მდივანი ვახტანგ ლომაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე ლომიძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი გია სიდამონიძე და რამდენიმე მუშა.

გადაეხვივნენ ტრიფონს, გადაკოცნეს, გამარჯვება მიულოცეს.

მერე ქარხნის ახალგაზრდა მუშამ ნიკოლოზ ოქსიაშვილმა ახალი გაზეთი გაშალა და რიხიანად დაიწყო კითხვა.

ყველა გაირინდა. თითქოს პირველად ესმითო, ისეთი დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ ნიკოლოზს.

გაზეთში თავჩარგული ნიკოლოზი კი, ვინ მოთვლის, მერამდენედ კითხულობდა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატს ტრიფონ ვახტანგის ძე როსტიაშვილს 1979 წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ისევ აწკრიალდა ტელეფონი.

ტრიფონს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, დიდი მეცნიერი ევგენი ხარაძე ესაუბრებოდა.

ყურმილში მკაფიოდ გაისმა ხავერდოვანი მშვიდი ხმა:

— პატივცემულო ტრიფონ, გულითადად გილოცავთ სახელმწიფო პრემიის ლაურეატობას. ეს თქვენი შრომითი გამარჯვების კიდევ ერთი აღიარებაა. გისურვებთ კვლავაც შეგეტანოთ ღირსეული წვლილი პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში.

სტუმრები წამოდგნენ. აფუსფუსებულ დიასახლისს დაემშვიდობნენ და ოჯახის უფროსთან ერთად გავიდნენ კარში.

დრო აღარ ითმენდა.

საავიაციო ქარხანაში ტრიფონ როსტიაშვილის ბრიგადას საცაა მეორე ცვლაში მუშაობა უნდა დაეწყო.

* * *

სწრაფად გარბის დრო.

თხუთმეტ წელზე მეტია, თბილისის № 38 პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ტრიფონ როსტიაშვილი საავიაციო ქარხანაში მუშაობს და გუშინდელივით ახსოვს იქ მისვლის პირველი დღე.

მორიდებით შეაღო კარი.

ახალბედა ხარატს ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ემუშავა დამოუკიდებლად ამ უზარმაზარ საავიაციო ქარხანაში.

ქარხნის კოლექტივმა გულთბილად მიიღო ტრიფონი. გაამხნევეს, შეაგულიანეს, მეგობრულად ამოუდგნენ მხარში, გამოცდილმა ხარატებმა ცოდნა და გამოცდილება წაახმარეს.

მოწადინებამ მალე თავისი გაიტანა.

თავდადებულმა შრომამ, საქმის სიყვარულმა, მუშურმა სინდისმა, უტყუარმა პროფესიულმა ალღომ, ახლის ძიებამ ტრიფონ როსტიაშვილი ქარხნის მოწინავეთა რიგებში ჩააყენა.

პირველ წარმატებას ახალი წარმატება მოჰყვა, ახალ წარმატებას — ახალი გამარჯვებები. ახალგაზრდა ხარატის სამაგალითო შრომა საქვეყნოდ გახმიანდა.

წუთი რა არის, წუთსაც არ კარგავს უქმად ტრიფონ როსტიაშვილი: დაფუსფუსებს დაზგასთან, ხან ნახაზებს ჩასცქერის, ხან საჭრისებს უკირკიტებს, ხან ახალბედა ხარატებს აძლევს დარიგებებს.

კომუნისტური შრომის დამკვრელი ხარატი დიდ დროს უთმობს გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებს.

წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება, მომჭირნეობა, ახალი რეზერვების გამონახვა და ამოქმედება, შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცება ყოველთვის არის ტრიფონ როსტიაშვილის საზრუნავი.

მარტო შარშან საავიაციო ქარხანაში დაინერგა ტრიფონ როსტიაშვილის ექვსი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომლებმაც დიდი ეკონომიკური ეფექტი მისცეს წარმოებას.

ტრიფონ როსტიაშვილი პირადი დამღის მფლობელია. მისი უტყუარი მარჯვენით დამზადებული რთული დეტალები ყოველგვარი ტექნიკური კომისიის გარეშე ბარდება ქარხანას.

სწორედ უანგარო შრომამ გახადა რიგითი მუშა, დუშეთის რაიონის სოფელ პავლეურის გლეხკაცის შვილი ტრიფონ როსტიაშვილი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი. სწორედ უანგარო შრომამ მოუტანა მას პატივისცემა და პირადი ბედნიერება.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხარატი ტრიფონ როსტიაშვილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

მერვე ხუთწლედის დავალებათა დროულად და წარმატებით შესრულებისათვის იგი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. მეცხრე ხუთწლედში „შრომის დიდების" ორდენი დაიმსახურა. შემდგომ წლებში ტრიფონ როსტიაშვილმა მიიღო მედლები — „შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებული".

ისიც უნდა აღვნიშნოთ, საკავშირო საავიაციო მრეწველობაში, თავისი კვარტალური შრომითი მონაცემებით, ტრიფონ როსტიაშვილი ხშირად იკავებს საპატიო ადგილებს...

ამას წინათ მთელმა რესპუბლიკამ შეიტყო, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ტრიფონ როსტიაშვილს საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებლის საპატიო წოდება მიენიჭა.

დამსახურება და აღიარება, რა თქმა უნდა, თავისთავად არ მოდის.

მთელ თავის ცოდნას, უნარს, გამოცდილებას ტრიფონ როსტიაშვილი წლების მანძილზე ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს ახმარს.

საავიაციო ქარხანაში შექმნილია დამრიგებელთა საბჭო, რომლის ერთ-ერთი წევრია ტრიფონ როსტიაშვილი. მისი აქტიური მონაწილეობით ეწყობა შეჯიბრება „პროფესიაში საუკეთესო მუშის" გამოსავლინებლად, ტარდება „მუშად კურთხევის", „პირველი ხელფასის" საზეიმო ცერემონიალები, იმართება ვეტერანებთან შეხვედრები.

ტრიფონ როსტიაშვილს მეგობრული ურთიერთობა აქვს დამყარებული აღსაზრდელებთან. ამიტომაც არის, რომ ტრიფონი ხშირად დადის თავისი მოწაფეების ოჯახებში, ქარხნის საერთო საცხოვრებლებში, მუშა ახალგაზრდობის სკოლებში.

კომუნისტი ხარატი ძალასა და ენერგიას არ ზოგავს, რომ ახალბედა მუშებში კიდევ უფრო განამტკიცოს კომუნისტური შეგნება, დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, მაღალი მორალური თვისებები, პროფესიული ოსტატობა.

მიმდინარე წლის მაისში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა ტრიფონ როსტიაშვილის ანგარიში იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ეწევა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა და მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდობასთან მის მუშაობას.

ამ შეფასებამ ტრიფონ როსტიაშვილთან ერთად მისი მოწაფეებიც აღაფრთოვანა.

# ლ ი რ ი კ ა



## ხუტა გაგუა

### სტუმარი

გლეხკაცს სტუმარი
აახლეს ღამით —
სახელდახელოდ დაკლეს ქათმები.
აქ თუ დაჯდებით, მალე გათბებით, —
ბუხართან რბილი
დაუდგეს სკამი.

კარის მეზობელს,
ასაკით უფროსს,
დაგვიდექიო, სთხოვეს, თამადად,
და იქცა თაფლად და ანდამატად
ამღერებული
ქართული სუფრა.

მასპინძლის თვალში
იფეთქა შუქმა,
მას უხაროდა, ბავშვივით კეთილს,
რომ უცხო სტუმარს არც ერთი წვეთი
არ დაუკლია,
არც ერთი ლუკმა.

არ თაკილობდა
თამადა სულაც,
რომ უცხოელი ჩანდა ორჭოფი;
ღვინის უმცროსი დაი — ბორჯომი
მხარს უმშვენებდა
ყელმაღალ სურას.

ყველა, ვინც დიდი
არის დიდებთან,
დალოცეს. როცა ახსენეს მკვდარიც,
ნოემბრის მთვარე, ხის ტოტზე მჯდარი,
სტუმარს აშკარად
თვალს არიდებდა.

თითქოს იცოდა,
როცა სოფელი
გააცილებდა შორეულ გზაზე,
არც ერთი სიტყვა სამადლობელი
არ დასცდებოდა,
და მოხდა ასეც.

წავიდა. თურმე
ვინც ხრიკებს ეძებს,
ისე გაბრიყვდა და გათამამდა,
ურცხვად შეასხა ღვინო თამადას
თავის მარჩენალ
გაზეთის გვერდზე...

ყველა თავის გზას
ირჩევს და მისდევს,
ოღონდ, ერთგული კუბოს კარამდე,
ქართველი ადათს არ უღალატებს —
მისთვის სტუმარი
ღვთისაა, მისტერ.

### ქარში ტოკავდა ყვავილი

ქარში ტოკავდა პატარა
მინდვრის ყვავილი თეთრი:
„—ფუტკრებო, ყვავ-ყორნებივით
ნუ დამესევით, გვედრით,
რაც ჩემში ასე გიზიდავთ,
ისედაც ერთი წვეთიც
არ არის ჩემი — მიწიდან
სათქვენოდ ალმოვცენდი.
სიცოცხლეც მე არ მეკუთვნის,
როგორც მაისი — მაისს,
როგორც მდინარე — მდინარეს,
და მაინც, მაინც, მაინც... —
ჩურჩულით თვალებს ნაბავდა,
ზამთრის დღესავით მიმქრალი.

რატომღაც ამეკვიატა,
რატომღაც დამაფიქრა.

● ●

მადლობა, ღმერთო, — ასე ძნელად
გადასატანი
გადავაგორე, როგორც იქნა,
მკაცრი ზამთარი.
რა არ ვილონე, ვაი-ვიში
და ღრიანცელი
რომ ამეცდინა, გამიჭირდა, —
მაინც გავძელი.
არ დავამწუხრე მეგობრები,
ნათესავები;
არ ავაჩხავლე დედაბრები,
როგორც სვავები;
ატალახებულ სასაფლაოს
ღია კარებთან
არ ვათქმევინე: „—საცოდავო,
რა გაჩქარებდა, —
გაზაფხულამდე მოგეცადა —
ორი კვირაღა...“
გაზაფხულია. რა სჯობს ახლა
წოლას პირაღმა
მწვანე მდელოზე! ცა მაქეზებს
და მათბობს მიწა,
რომელზეც, ალბათ, წინაპარი
ჩემსავით იწვა
და ღიღინებდა, ბედნიერი:
„დელი-დელია,
არ გავახარე გული მტრისა,
მტერი — მტერია“,
და მეც ვღიღინებ, სულს მინაზებს
წყლისპირ ლერწამი.
ახლა სიკვდილიც ადვილია
სიცოცხლესავით.

● ●

ამ ხელში ვისი
ხელიც მჭერია,
ალბათ იმისგან თუ გადმომეცა
სითბო, სინათლე ახლავს რომელსაც:
მე გავთბი, ახლა —
შენი ჯერია.

აჰა, წაიღე.
და თუ სხვათათვის
არ დაიშურებ, მიხვდები ხელად —
ის ჰაერივით სჭირდება ყველას,
ხელიდან ხელში
მიტომ გადადის.

...ტკბილად ახსენე
ის უსახელო,
ათას გამვლელში თუ შეიცანი,
ამ სითბოს პირველწყარო ვინც არი —
ვისაც ცივა და
ინევს საყელოს.

### ბუდე

ქარი მიწყნარდა
და წვიმამ იკლო,
თვითმფრინავების განახლდა მძლავრი
გუგუნი. ტრაპზე ავდივარ მგზავრი,
ჯერ არ ავსულვარ,
და უკვე ვფიქრობ:

არც ერთი წუთი
არ შეედრება
მშობელ მიწაზე დაშვების წუთებს —
ასე აგნებენ დაკარგულ ბუდეს,
ცად აღავლენენ
ლოცვა-ვედრებას.

ასე ივსება
სულის აფრები
და დაჭიმული მღერის სხეული,
შენს შესახვედრად გამოქცეული
მინდვრებისა და
ტყის ალმაფრენით...

პატარა, როგორც
ყვავილის მიწა,
ჩემო ქალაქო, ისეთი რა ხარ,
არ მომანატრო ერთხელაც პრაღა,
ვარშავა, რომი,
პარიზი, ნიცა!

მე აღარ მახსოვს,
რა იყო უწინ.
დღეს კი — ბალახიც ისე მიზიდავს,
რომ მეჩვენება: ჩემი მიწიდან
ყველა თვითმფრინავს
აფრენა უმძიმს.

● ●

რითაც გენებოთ,
გაივსეთ ქისა,
მაინც ვიქნები თქვენზე მდიდარი:
ჩემი ქონება და კაპიტალი
სულ სხვაა — მწვანე
ფოთოლი ხისა.

მე ტკბილად ვმღერი,
თქვენ როცა დუმხართ,
მხოლოდ იმიტომ, რომ წვება ბინდი;
ყველა ვარსკვლავი, მცირე თუ დიდი,
ჩემია. ცოტა —
მოშურნე თუ მყავს.

ამ გაზაფხულზე
ყველაფერს დავთმობ,
ოღონდ მესმოდეს გალობა მერცხლის.
თქვენ გქონდეთ თქვენი ოქრო და
ვერცხლი,
მე შორი შუქის
კიაფიც მათბობს.

ერთხელ, როდესაც
დავხუჭავ თვალებს,
ჟამს სიმარტოვის ესეც მეყოფა:
გავახსენდები ერთგულ მეგობარს —
დამწუხრებული
მეწვევა მთვარე.

შორს ჩემგან, ცივო
გრანიტის ქვებო,
სიმძიმეს თქვენსას ვერ ჰგუობს ხორცი,
და მელანდება პატარა ბორცვი
თმებჩამოშლილი
ტირიფის ქვემოთ.



# სოკრატ არშბა

ბავშვობიდან მიყვარს ოჩამჩირე — ზღვისპირეთის ულამაზესი ქალაქთაგანი.

მაისის ერთ მშვენიერ დღეს კვლავ ვესტუმრე ოჩამჩირეს. რუსთაველის ქუჩაზე მივაგენ იმ სახლს, სადაც დაიბადა პირველი აფხაზი ექიმი, პროფესორი სოკრატ არშბა.

სახლი და ეზო-კარი დავათვალიერე, თუმცა სოკრატის ნათესავთაგან იმ დროს შინ არავინ აღმოჩნდა. სამაგიეროდ არშბების კარის მეზობლებმა, კოწოლაძეებმა, გაგვიღეს ჭიშკარიცა და გულისკარიც. რადგანაც სოკრატ არშბას ძველი სახლის სტუმარი გახლდით, მასპინძლებმა, უპირველეს ყოვლისა, დამალოცვინეს ორი ძვირფასი ადამიანი:

იაკობ ხუსენის ძე არშბა, აფხაზი გლეხი, ცხრაასიან წლებში ოჩამჩირეში რომ გადავიდა ტყვარჩელიდან, სადაც არშბების მრავალი ოჯახი ცხოვრობს; ზედმიწევნით გულთბილი და გამრჯე კაცი, რომელიც შვილებსაც აჩვევდა ფიზიკურ, ხშირად მძიმე ფიზიკურ შრომას. ამავე დროს ცოდნის მაძიებელთა ქომაგი და ხელშემწყობი, მეზობლობასა და მეგობრობაში შეუდარებელი;

ვასასი სამსონის ასული ჩიქოვანი — უსათნოესი ბუნებისა და ულამაზესი გარეგნობის ქართველი ქალი, გაჭირვების ჟამს ადამიანთა შემწე, შორეულ თუ ახლობელ ნათესავთა ხამდვილი დედობილი, ხალხური სიტყვიერების მოყვარული და დამფასებელი.

დიახ, სოკრატ არშბას ბედნიერ ნააკვნართან დავლოცე მისი ღვთისნიერი დედ-მამა, მშობლები ხუთი შვილისა, რომლებმაც აფხაზებიც ასახელეს და ქართველებიც, რაც მთავარია, ასახელეს ქართველ-აფხაზთა საუკუნო, წმიდათაწმიდა ძმობა.

აი ამ ქალაქში, აი ამ ქუჩაზე დაიწყო დიდი გზა მეცნიერისა, მოღვაწისა, მოქალაქისა, რომლის სახელიც ამჟამად ცნობილია არამარტო ოჩამჩირესა და აფხაზეთში, თბილისსა და საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

განა ამ სახელმა არ განაპირობა ის, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონმა დიდოსტატმა მიხეილ ტალმა სოკრატ არშბას ოქროს ხელებს მიანდო თავისი ბედი და აქ, თბილისში, გაიკეთა ურთულესი ოპერაცია?

ვინ არ იცის ამ ოპერაციის ბრწყინვალე შედეგი და მიხეილ ტალის ამაღელვებელი მეგობრობა თბილისელ პროფესორთან, რომელსაც ქირურგიის ჭეშმარიტი დიდოსტატი უწოდა მადლიერმა პაციენტმა?

აი ამ ქალაქში, ამ ქუჩაზე, ამ სახლთან დაიწყო დიდი გზა...

იაკობ არშბა, შინაურულად ექუფი რომ ერქვა, დღესა და ღამეს ასწორებდა, ოღონდ განათლებული შვილები ჰყოლოდა. აკი მიაღწია საწადელს.

ვიდრე ქირურგიის დიდოსტატი გახდებოდა, სოკრატ არშბამ თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ისწავლა.

ახალგაზრდა ექიმი 1930 წლიდან 1935 წლამდე თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ორდინატორად მუშაობდა, შემდეგ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიული კათედრის ასისტენტი და დოცენტი იყო. 1946-1947 წლებში ამავე ინსტიტუტის პედაგოგიურ ბაზას ხელმძღვანელობდა აფხაზეთის დედაქალაქში.

1949 წელს სოკრატ არშბა აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი გახდა. 1957 წლიდან იმავე სამინისტროს რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელობაც დაეკისრა.

სოკრატ არშბამ ჯერ კიდევ ომამდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1956 წელს ლენინგრადის ი. პ. პავლოვის სახელობის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში — სადოქტორო.

წლების მანძილზე იზრდებოდა და მაღლდებოდა პროფესორ არშბას ავტორიტეტი და ასპარეზი. თავისი ოსტატობითა და ჯადოსნური ხელით იგი აოცებდა როგორც პაციენტებს, ისე სამედიცინო საზოგადოების სახელოვან წარმომადგენლებს. ამიტომაც თავიდანვე დაიახლოვა თავისი უნიჭიერესი მოწაფე აკადემიკოსმა ალექსანდრე წულუკიძემ. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა იგი დიდი სამამულო ომის წლებში, როგორც ერთ-ერთი ჰოსპიტლის მთავარი ქირურგი.

პროფესიული მოვალეობის სამაგალითო შესრულებასთან ერთად სოკრატ არშბა თავდადებით ეწევა საზოგადო მოღვაწის მრავალმხრივ ჭაპანს. იგი სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, პარტიის აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების წევრად, თბილისის პარტიული ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის წევრად...

სამშობლომ არც დაფნის გვირგვინები დაიშურა ამაგდარი შვილისთვის: შრომის წითელი დროშის ორდენი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის, აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებანი, „საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანი და სხვა ჯილდოები თავისთავად მეტყველებენ ამაზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი უროლოგი, უროლოგთა საკავშირო საზოგადოების საპატიო წევრი სოკრატ არშბა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი წარმომადგენელია მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტში.

საბჭოურ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული ას ოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა პროფესორმა არშბამ შექმნა ქირურგიის სახელმძღვანელო და ხუთი მონოგრაფია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა ექვსი სადოქტორო და თექვსმეტი საკანდიდატო დისერტაცია.

ძვირფასი ადამიანური თვისებანი — გულისხმიერება, პრინციპულობა, ჭირსა და ლხინში თანადგომა, გულმართლობა, — კიდევ უფრო მომხიბვლელს ხდის პროფესორ სოკრატ არშბას პიროვნებას.

— ბუნებრივია, რომ პატივცემულ სოკრატ იაკობის ძე არშბას არამარტო ჩვენი რაიონის აქტივი, არამედ მთელი საქართველო იცნობს. თხუთმეტი წელია იგი მეთაურობს თბილისის ალექსანდრე წულუკიძის სახელობის უროლოგიისა და ნეფროლოგიის ინსტიტუტს. ამ ხნის მანძილზე ინსტიტუტი იქცა ქვეყნის მოწინავე სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებად, რომელმაც მეცნიერული კადრების მთელი პლეადა მოამზადა. პროფესორ არშბას მაღალი ავტორიტეტის, დაუღალავი შრომისა და ახალგაზრდული ენერგიის წყალობით ინსტიტუტის კოლექტივის სამეცნიერო მუშაობას ფართო გაქანება მიეცა...

უნებლიეთ მაგონდება პარტიის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივნის ამხანაგ ჯემალ კუხალაშვილის ეს სიტყვები, უროლოგიის რესპუბლიკური ცენტრის ახალი, გრანდიოზული შენობის დათვალიერებისას რომ გვითხრა.

ხანდაზმულობა ჯანსა და ენერგიას ვერ აკლებს ჩვენს სახელოვან თანამედროვეს, აფხაზი ხალხის საყვარელ შვილს და სრულიად საქართველოს სათაყვანო მეცნიერ-მკურნალს.

აი აქ, ოჩამჩირეში, რუსთაველის ქუჩაზე, ამ სახლთან დაიწყო სოკრატ არშბას ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდი გზა...

**ხუტა ბერულავა.**
**ქ. ოჩამჩირე. მაისი.**

# სხვადასხვა ცის ქვეშ

ვიქტორ კახნიაშვილი

## მონატრება

ვუძღვნი ჩემს მეგობარ გერმანელ ქართველოლოგებს გერტრუდ პეჩს, იულიუს ასფალგს, კარლ ჰორსტ შმიდტსა და ჰაინც ფენრიხს.

...ალბათ ბუნების ამ საოცრებას
(ეს რომ ასეა, ხალხმა ხომ იცის!)
ხატავდნენ ჩვენდა გასაოცებლად
ოტო დიქსი და კეტე კოლვიცი.
ეს სიცხადეა, თუ სიზმარია,
მელანდებიან ტყის ფერიები,
აქ სხვანაირად მოსასმენია
ბახის უკვდავი „ავე-მარია"
და ბეთჰოვენის სიმფონიები.
გადახვეწილი და უსახლკარო,
მამულის ფიქრში ვალამ-ვათენებ,
მე სხვის მიწაზე რამ გამახაროს,
დარდი და სევდა აღარ მასვენებს.
მომენატრება, კვლავ მომინდება
ფიროსმანის და ლადოს ფერები,
და თუ ბუნებამ კვლავაც ინება,
გაზაფხულს გულით მივეფერები.
ერთი ნატვრა მაქვს, ერთი სურვილი,
როდის ვიხილავ იმერ-ამიერს,
მთა-ბარს ვემთხვევი, ფეხით სულ ვივლი,
მოვისმენ ქართულ „მრავალჟამიერს"...
ოთახში თბილა, გარეთ ქარი ქრის,
იქნებ მეშველოს, ეგებ დავწყნარდე,
არ დავივიწყებ უუამეს ფიქრს,
რაც მე ბერლინურ ზეცას გავანდე.
და მოთმინება მყოფნის იოგის,
ოღონდ მივაგნო ჩვენეულ რამეს,
რომ გავიხსენო გალაკტიონის
„მთაწმინდის მთვარე" და „მე და ღამე".
უჩემსამშობლოდ ძალა არ მყოფნის,
შემიმსუბუქებს ოცნება ოდნავ,
ამქვეყნად ჩემი ყოფნა-არყოფნის
თავბედს ვწყევლი და დღედაღამ ვბოდავ:
სანამ ჩამიკრავს მიწა გამზრდელი,
მსურს სულში წმინდა სანთელი მენთოს,
ეს არის ნატვრა ამაღამდელი,
მერე, თუ გინდა, გამწირე, ღმერთო!

ბერლინი, 1969.

## ვენის ტყის ზღაპარი

მე თუ ამქვეყნად რამე მინახავს
(საკუთარ გრძნობას ბევრი არ ამხელს!),
მაოცებს, ხალხი როგორ ინახავს
გენიოსთა და უკვდავთა სახელს.
რეკლამებში და ვარდებში ჩაფლულს,
გავცქერი ქუჩას... რა სიწყნარეა!
დუნაის პირას, ფიქრებში გართულს,
მე თვით არ ვიცი, რა მიხარია.
უნახაობით ალბათ წაწყმდები,
რაც გონს ამაღლებს და სმენას არგებს,
სად არ მოისმენ, არ წააწყდები
შტრაუსების და შუბერტის ჰანგებს!
ერთი სტუმრობაც კმარა ვენაში,
ესეც ეყოფათ მუზის ტრფიალებს,
სადაც ჰაიდნის, სადაც მოცარტის
და ბეთჰოვენის სული ტრიალებს.
ყველა ოცნება ასახდენია,
არვინ ეძიებს ჯადოსნურ ლამპარს,
წავიღებ, რაც კი წასაღებია,
ავსტრიისა და ვენის ტყის ზღაპარს.

ვენა, 1967.

## მე, რუსთაველის ქვეყნიდან მოსულს

ამ მიწას ბევრი ნიჭი უშვია,
შევეჩეხები სუყველგანმყოფებს,
ჩვენთვის რომ გული გადაუშლიათ, —
ადამ მიცკევიჩს, ფრედერიკ შოპენს.
მე, რუსთაველის ქვეყნიდან მოსულს,
ეს ძეგლი რაღაც ისე მიცქერის,
თითქოს ყირიმულ სონეტს ვამბობდე
და ვაკვირვებდე ადამ მიცკევიჩს.
მაზურკების და ვალსების ზღვაში
აბობოქრდება მგზნებარე სული,
და ამ ნაღვლიან, სევდიან ხმაში
აბრიალდება შოპენის გული...
ვარშავის ცაზე ბინდი ეშვება,
მზე უკვდავებას კვლავ სხივებს მოჰფენს,
ვემშვიდობები ადამ მიცკევიჩს
და ვეთხოვები ფრედერიკ შოპენს.

ვარშავა, 1967.



# კაჭმაანთ ბიჭები

მოთხრობა

ლალი მარტაშვილი

— ბიჭები და რა ბიჭები! — ქებით იტყვიან ხოლმე ჩვენს უბანში კაჭმაანთ ტყუპ ბიჭებზე — სოსიასა და ლადოზე. მე იმ უბანში ვიზრდებოდი და არასოდეს მინახავს ისინი თეთრები იყვნენ თუ შავები, მაღლები თუ დაბლები. ჩადგმული ბიჭები იყვნენო, პირბადრეპი, მინდორივით მკერდი ჰქონდათო და დიდი ხელები.

დილით, სანამ მე ლოგინიდან ზმორებით წამოვდგებოდი, ისინი უკვე წასულები იყვნენ ვენახსა თუ მინდორში (შოროქანისა და ბალბაქუდურის მიწა იყო მათი ასპარეზი). დაბინდებისას, როცა ისინი წამოვიდოდნენ ვენახიდან თუ მინდვრიდან, დედაჩემს უკვე დაბუდებული ვყავდით ქერქვეშ და ისინი შინ რომ ამოვიდოდნენ, მე უკვე ძილში ვიყავი.

ამოვიდოდნენ ბიჭები, ხელ-პირს დაიბანდნენ, ქალამნებს დაიბერტყავდნენ, წინდებს ერთი ორჯერ შემოჰკრავდნენ დერეფნის სვეტს, მიწას გააყრევინებდნენ, ფეხს დაიბანდნენ, მერე მაძღრისად ივახშმებდნენ და დაეყრებოდნენ ლოგინზე. განთიადამდე ფეხგაუნძრევლად ეძინათ და სანამ გათენდებოდა, შუა გზა გავლილი ჰქონდათ, მზის ამოსვლას ვენახში ეგებებოდნენ.

გლეხურად შეძლებულადაც ცხოვრობდნენ სოსია და ლადო. ცხენიც ჰყავდათ, გუთანიც ჰქონდათ და ერთსართულიანი დერეფნიანი ქვიტკირის სახლიც.

ზამთარში ავდრიანი დღეები იყო სოსიასა და ლადოს დასვენების დღეები, რომელიც ხან თვესაც გრძელდებოდა — ცის ნება იყო. ბორგავდნენ ბიჭები, ღმერთგამწყრალს ეძახდნენ ამინდს. რა ჩაშოიქცა ეს უპატრონოო, წუხდნენ. გამოიდარებდა და ჯამბლის ტყეში წავიდოდნენ, თონის ფიჩხს მოუმარაგებდნენ დედას (კვირაში ერთხელ ორი თონე შოთი პური უნდა გამომცხვარიყო მათ თონეში), ვენახისათვის ამოსაყენებელ ჭიგოს მოსჭრიდნენ, ახალშენი ვენახისათვის მერქნებს დაამზადებდნენ, ტყის და ველის შვილები იყვნენ და იქ უთენდებოდათ და ულამდებოდათ.

ერთ დღეს ხმა გავარდა უბანში სოსიას და ლადოს პატარძლები მოუყვანიათო. როდის გაიცნეს ის გოგოები, როდის იხნდნენ სიძეებად, არავის გაუგია. ჩუმი და უსიტყვო ბიჭები იყვნენ და ეს ვალიც ჩუმად მოიხადეს. ნუთუ თავიანთ ცხოვრებაში ორი დღეც ვერ გაიმეტეს ბედნიერებისათვის! რა მოხდებოდა, უბანს დანახვებოდნენ გოგოების გვერდით, გართულიყვნენ, ეღლაბუცათ თავიანთ პატარძლებთან.

მეორე დღეს უბნის ქალები მივიდნენ ოლა ძალოსთან, შვილების ბედნიერება მიულოცეს, პატარძლები გაიცნეს, ტკბილი ჩურჩხელები მიართვეს და ჩურჩხელებივით ტკბილად შებერება უსურვეს. ოლა ძალომ სიამოვნებით მიიღო მილოცვა, თითქოს ეგრე უნდაო. ბიჭები სად არიანო, არავის უკითხავს. ვაჟკაცები იყვნენ, ქალებს ხომ არ მიუსხდებოდნენ გვერდით. არ ეცალათ მათ ბედნიერი დღეებისათვის. ალბათ, ახალწლის ღამეს შუაკაცებს გაჰყვნენ მეზობელ სოფელში ქალების გასაცნობად, ერთი უბნელი გოგოები ნახეს, მოეწონათ, შუაკაცებს ენდნენ და წამოიყვანეს შინ ის გოგოები და პატარძლებად დაისვეს.

...კიდევ იყო ერთი დიდი დღე სოსიას და ლადოს ცხოვრებაში — ჯერ მათ თავიანთი ბიჭების პირველი ჩხავილი არ გაეგონათ, რომ გერმანიამ დაგვარტყაო, ხმა გავარდა. ბიჭებმა ხელი გაუშვეს სამუშაოს და ჯერ მზე არც კი იყო ჩასული, სოფლის გზას რომ დაადგნენ. ოლა ძალო ფარდაგზე იჯდა და მუხლებზე მუშტებს ირტყამდა:

— გაიგეთ, ბიჭებო, ომი დაწყებულა, ვაი ჩემს დღესა!

— ჰო, აბა რა ამბავია?! — გააჩუმეს ბიჭებმა დედა, — ხვალ დილითვე უნდა გამოვცხადდეთ გურჯაანში, სამხედრო კომისარიატში.

მატარებელს ვერ დაუცდიდნენ ბიჭები, გათენებისას დაადგნენ გურჯაანის გზას და ორ საათში კომისარიატის კარზე იდგნენ. მივიდნენ და ღვარივით მოაწყდა ხალხიც. ათ საათზე უკვე მატარებელში ისხდნენ ბიჭები. წავიდნენ და წავიდნენ ჩუმად, უხმაუროდ. ბევრი იბრძოლეს თუ ცოტა, ვერავინ გაიგო.

...ახლა ჩვენი სოფლის თავში კაჭმაანთ ბიჭების სახელზე დარგული ნაძვები დგანან და გაჰყურებენ სოფლის ვენახებსა და მინდვრებს. შორამდე უწვდებათ თვალი, შორამდე — ალაზნის ჭალიდან ჭიაურის ტყემდე და იქიდან კავკასიონის ყინულებამდე.

## გიორგი გიგაური

# მთიბავები

### ბალადა

1

ჩვიდმეტი ვეფხვის ბოკვერი
ფერდობზე .ბალახს ცელავდა,
გამოეცალათ კოკები,
თუნგი, დოქი და ხელადა.
მისდევდა ნამხრევს ნამხრევი,
ღალღას ქედანი უხმობდა,
შუბლზე გაწოლილ ნახმლევით
მამაცს იცნობდით უხმლოდაც.
სოფლის ჩვიდმეტი იმედი,
რწმენა, სიმხნევე, სიმართლე,
სახის ეშხით თუ ილეთით
ჰგავდნენ ლომგულა წინაპრებს.
ეძარღვებოდათ მხარ-მკლავი,
ულაღდებოდათ მიზანი,
ელავდა სათიბ-სამკალი,
თვალებში შუქნი მზისანი.
თორღვას და ხირჩლას ღიღინი
ისმოდა ლომის ბუხუნად;
მოლს მოსხლეპილი ღიღილო
მკერდში ჩაიკრა ლუხუმმა...

2

უცებ ბიჭმა ალვისტანამ
შემოაგდო ცხენი ოთხით,
თან ამბავი მოიტანა —
კაცს კი არა, კლდესაც მოთხრის,
— თავს დაგვესხა მტერი, ძმებო! —
დაიძახა ალელვებით,
აიფაფრნენ თითქოს მთებიც
მეომართა მნახველები...
და ცელები დააყუდეს
ბოკვერებმა ნამხრევებში,
სოფლისაკენ ველ-მინდვრებზე
გააბიჯეს გამხნევებით.
თქვეს: — ცელები იქ დავტოვეთ,
სიმღერაც და გაფითრებაც,
რომ არ იგრძნონ სიმარტოვე
ნამდაყრილმა სათიბებმა.
ცელებს ხელი არვინ ახლოს,
მზის სხივებში გახვეულებს,
ვეახლებით მალე მაღლობს
და გავიტანთ ნამხრეულებს...
ომის გზაზე გაიშალა
ოცეული გახელებით,
ყრანტალებდნენ ყორნები და
ქვითინებდნენ მნახველები.

3

ჩვიდმეტიდან უკან
ვერ დაბრუნდა ერთიც,
დაიფარეს მიწა
სისხლიანი მკერდით.
სტალინგრადის ახლოს,
ქერჩთან, რაიხსტაგთან
ჭაბუკების, ხალხო,
გზები დაიხლართა.
ოი, ღმერთო, ზოგის
არც სამარე ვიცით, —
ათბობს მიწის ლოგინს
პირტიტველა ბიჭი.
დედის, დის თუ ცოლის
ჩამოშლილი თმები,
თქორი, ცრემლის თქორი,
მოლუშული მთები.

4

დალპნენ ცელის ტარები,
დაიჟანგნენ ცელები,
ნამიანი თვალებით
გვიცქერიან ველები.
მადლიანი მიწა,
ხავსიანი ქვები,
მოგონებად იქცა
ჯმუხა ვაჟკაცების.
ეკარება არვინ
გასათიბად ფერდობს,
დაშრა წყაროს თვალი,
დაიშალა ერდო...
ააცილე მამულს
ასეთი რამ, ბედო!

## სიმონ ბალახაძე

# სურათები

მთის მდინარიდან კალმახივით გამოქცეული,
ჩემს შესახვედრად გამორბის ღელე,
კლდიდან ჩანჩქერად ჩამოქცეული,
მე რომ მივედი, ამღერდა მერე...
გულზე შეახტა ეზოს ჭიშკარს ძაღლი ვეება,
გამოაყრუა ბინდი ორფერი,
გაიშრიალეს ბალში ხეებმა,
დედაჩემივით დამხვდა სოფელი.

● ●

მინდორში დაქრის ქარი ირიბი
და ხეებს სულ სხვანაირად ხატავს,
ქარის ნახატი ნაძვს გავს ტირიფი,
წიფლები — იფნებს და მუხა — პანტას.
იქნებ შორიდან ვხედავ პირიქით
და ქარი იქნებ არაფერს ხატავს,
ტირიფი არის იქნებ ტირიფი,
მუხა მუხაა, პანტაა პანტა.
დაკიდებულა მთაზე ბილიკი,
დამგვანებიან წიფლები იფნებს,
იქნებ შორიდან ვხედავ პირიქით
და სხვანაირად მე ვხატავ იქნებ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჭეძსი

სალამოს ცხრა საათი ჰა და ჰა, როცა კალიგრაფისტი ვასილ მენაბდე მეოთხე სადარბაზოში შევიდა და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა.

ქარიანი ამინდი იდგა და ვასილს ყოველშემთხვევისათვის საწვიმარი მოეხურა, თუმცა, იგი იქვე, მეორე სადარბაზოში, ცხოვრობდა და ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაშიც კი ფეხით ოციოდე ნაბიჯის გავლა თუ მოუწევდა.

კარგ საქმეზე არ მიდიოდა კალიგრაფისტი ვასილ მენაბდე. სახლმმართველი ბენო სალდაძე უნდა გაელანძღა. უნდა გაელანძღა ქარაგმულად კი არა, გადაკრული ფრაზებით კი არა (ნაწყენი ადამიანები ანდაზებს რომ უცვლიან ერთმანეთს), უნდა გაელანძღა უკანასკნელი სიტყვებით. ამ გადაწყვეტილებამდე ერთბაშად არ მისულა. წლების განმავლობაში გროვდებოდა რისხვა კალიგრაფისტის გულში, მაგრამ მოთმინების ფიალა პირამდე მაშინ აევსო, როცა, გუშინ დილით, კანტორაში მისულს, მდივანმა გოგონამ მოახსენა: თქვენს ცნობას სახლმმართველმა ხელი არ მოაწერაო. უკანონოს ითხოვდა რამეს მენაბდე? თქვენც არ მომიკვდეთ. სჭირდებოდა ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, რომ ურთიერთდახმარების სალაროდან ფული მიელო. ვთქვათ, ურთიერთდახმარების სალარო არაფერ შუაში ყოფილიყო, ისე არ უნდა მიეცათ კაცისათვის ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან? მით უმეტეს, რომ საქმე კარის მეზობელს ეხებოდა. სახლმმართველიც ხომ ამ ასსამოცბინიან ათსართულიან სახლში ცხოვრობდა. რა იყო, რას ანერვიულებდა საკუთარი სიდედრისაგან ამ ისედაც გამწარებულ მენაბდეს? არ იყო კარგი კაცი ბენო, ვერ დავმალავ.

— სახლშია? — ჰკითხა ბენოს მეუღლეს და იატაკს დაჩერებულმა, ვინ იცის, მერამდენედ გაიმეორა სახლმმართველისათვის მისახლელი პირველივე ფრაზა („რა გინდა, რას მერჩი, შე უნამუსო!“). მთავარია ეს პირველი სიტყვები დამაჯერებლად ვუთხრა, მერე თვითონაც მიპასუხებს რამეს და აეწყობა ჩხუბიო.

— მობრძანდით, — თითქოს რაღაცას ხვდებაო, მასპინძელ ქალს შეშფოთებული სახე ჰქონდა.

ბენო ფანჯარასთან, ნიკელისთავიან საწოლზე, თავშეხვეული იწვა. სახელოებწაკაპიწებული თეთრი პერანგიდან ჭალარით მოსილი მკლავები მოუჩანდა. სტუმარს მოეჩვენა, რომ სახლმმართველს ფერიც წასვლოდა.

— მობრძანდი, ჩემო ვასო. ამ სკამზე დაჯექი, კისრის მოტრიალება მიჭირს. როდის გაიგე, ვინ გითხრა? — ბენომ ერთმანეთს მიაყოლა ნაღველგარეული სუსტი ხმით და არაბულ სკამზე დაშვებულ მეზობელს ხელი გაუწოდა.

გასალანძლავად მოსული დაიბნა, თითები ერთმანეთს გადააჭდო და სხვისი ხმით ამოღერღა:

— ახლა მითხრეს, ამ წუთას. როგორ მოხდა, რა იყო, სერიოზულია რამე?

— ადამიანი ერთ წუთშია თურმე. ჩემი თავი ჯანმრთელი მეგონა. არაფერი ისეთი სანერვიულოც არ შემხვედრია, კაცმა რომ თქვას. ასე ორი საათი იქნებოდა, თათბირს რომ მოვრჩი. ამ ადგილას, ყურების გასწვრივ, კეფა ამტკივდა. ალბათ ცუდად მედო ბალიშზე წუხელ თავი-მეთქი. სანამ ის გოგო ჩაის შემოიტანდა, ყურებმა შუილი დამიწყო და თვალში სინათლე დავკარგე. გონს რომ მოვედი, სასწრაფოს ექიმი მადგა თავზე. ნუ გეშინიათ, ბატონო, პატარა წნევამ აგიწიათო. ნემსები გამიკეთეს, პაპავერინიო, თუ რაღაცას ეძახიან. სახლში მომიყვანეს და დამაწვინეს. ასე მოდის სიკვდილი? ეს ვართ სულ?

— ნუ გეშინია, ჩემო ბენო, წნევამ შეგაშინა, შე კაცო? — გული გაუკეთა სახლმმართველს ვასო მენაბდემ და შემდეგ საუბარმა სწორედ ისეთი სახე მიიღო, როგორიც



დ. ერისთავი

ლაღიძის წყლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. მაისურაძე

გაცილება.





გ. ნავროზაშვილი

ქარი დასავლეთიდან.



# დიდების მემორიალი





დიდების მემორიალი გამარჯვების პარკში (თბილისი). პროექტი.

ავტორები: არქიტექტორები ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ნახუცრიშვილი; მოქანდაკე გ. ოჩიაური.









ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ვეფხვაძე    მზარეულები.



ა. ჩაგელიშვილი    მაისობა.



ე. ადამია    1941 წლის 22 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმართება ხოლმე ავადმყოფსა და სანახავად მისულ ჯანმრთელ მეგობარს შორის.

ნახევარი საათის მოსული არც კი იყო ვასილ მენაბდე, რომ მეოთხე სადარბაზოში მძლეოსანთა მწვრთნელი ბესარიონ კეჟერაძე შევიდა და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა. ბესარიონს სპორტული პიჟამო ეცვა, ხოლო პიჟამოს მარცხენა მხარეს, გულთან, კრემლის გამოსახულება ეხატა. მწვრთნელი აშკარად აღელვებული ჩანდა. მის ძმისშვილს, სოფლიდან ჩამოსულ სტუდენტს, ამ დილით მესამედ უთხრა უარი ჩაწერაზე სახლმმართველმა. არადა სტუდენტს ყველაფერი რიგზე ჰქონდა; დასწრებულზე სწავლობდა და მის განცხადებას რეზოლუციაც კი ედო ჩაწერის შესახებ. „ნაკლები რომ გამოვა ადამიანისშვილი! კაი საქმის გაკეთება რომ არ უწერია თავში! რა უნდა, რას ერჩის ამ ბავშვს? ავალ ახლა და მაგრად გავლანძღავ! აღარ დამთავრდა შენი მიზეზები, შე გველომეთქი? ასე ვეტყვი სწორედ. გავლანძლავ და დავკარგავ კიდეც სამუდამოდ. ჩემთვის აღარ იარსებებს მკვდარი-ცოცხალი. მე მაგის სახლში ფეხის დამდგმელი არ ვარ!“ — ფიქრობდა ბესარიონ კეჟერაძე და როცა ბენოს მეუღლემ კარი გაუღო, ბოდიშმოუხდელად მიახალა.

— ბენო მინდოდა.

საწოლ ოთახში შესვლისას ბესარიონმა ჯერ ვასოს ჩამოართვა ხელი და მერე ბენოსკენ გაიწია. შემობრუნდა, ქუდი სკამზე დადო, ავადმყოფს ორივე ხელი შეაგება, სწრაფადვე შემოტრიალდა, ქუდი აიღო და დაჯდა ისე, რომ სალდაძისთვის თვალი არ მოუცილებია.

— მადლობელი ვარ, ჩემო ბესარიონ, რატომ შეწუხდი?! სად გეცალა ახლა შენ ჩემს სანახავად! — სახლმმართველი ჭერს შესცქეროდა.

— რა მოცლა უნდოდა, შე კაცო, აბა რა ვართ მეტი ერთმანეთის! ავადაოო, რომ მითხრეს, თავზარი დამეცა. რაო, რაშია, თუ ძმა ხარ, საქმე? რა გითხრეს ექიმებმა? — მწვრთნელს არ ეგონა თუ გარდასახვის ამოდენა უნარი გააჩნდა. თავისი თავის უსაზღვროდ კმაყოფილი იყო, რომ საჩხუბრად მოსულმა ასე სწრაფად დაიოკა ნერვები და მოსიყვარულე მეზობლის ნიღაბი ასე ბუნებრივად მოირგო.

სანამ სახლმმართველი სტუმარს უამბობდა, თუ როგორ აეწვა კეფა სხდომის შემდეგ, როგორ დაუწყო ყურებმა შუილი და სანამ მდივანი გოგონა ჩაის შემოიტანდა, როგორ დაკარგა გონება, მეოთხე სადარბაზოში კიდევ შევიდა ერთი კაცი. ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა, მაგრამ კაბინას არ დაუცადა, ღრმად ამოიოხრა და ჩქარი ნაბიჯით აუყვა კიბეებს.

ეს კაცი გახლდათ სანტექნიკოსი ანზორ ფხალაძე. ნალვარევის ჩასახვევთან, მარცხნივ, ბოძებზე შემდგარი საამხახაგო სახლი არ დგას? სწორედ ამ სახლის საქვაბეს ემსახურებოდა დღევანდლამდე ანზორი. გუშინ ერთ საქმეზე შეაგვიანდა და წყალსაქაჩი ძრავა დროზე ვერ ჩართო. თავის კაცურ საქმეზე შეაგვიანდა. ისეთ საქმეზე გახლდათ, ცოლს რომ ვერ გაუმხელ. არ დაქცეულა ქვეყანა. ანზორი წესიერი კაცია, მაგრამ ერთი პირი ძილი წყალსაც უწევსო, ნათქვამია. ამ დილით კანტორიდან დაურეკეს, მოდი, თავს უშველე, ბენო სალდაძე მდივანს შენი მოხსნის პროექტს აბეჭდვინებსო. მიდის ახლა ანზორი სახლმმართველთან საჩხუბრად. მიეთ-მოეთებს არ დაუწყებს. ოქრო ხელობის კაცია, ოთხმოც მანეთიან სამსახურს ყველგან იშოვის. „კაცი ხარ ამის მერე, შენო? — ეტყვის ანზორი სახლმმართველს, შენც იტყვი ადამიანის გული მაქვსო? ქურდულად რომ მხსნი, დამიბარე, მითხარი, ერთი შენიშვნა მაინც მომეცი? შვიდი წელია საქვაბეს ვემსახურები, ყოფილა შემთხვევა დროზე არ ჩამერთოს ძრავა? გიჩივლებდი სასამართლოში და გასროლინებდი კუდით ქვას არასწორი ბრძანებისათვის, მაგრამ ამას რატომ არ ვიზამ იცი? კიდევ რომ აღარ მექნეს შენთან საქმე. შენმა ყურებამ და შენთან შეხვედრამ მეტი რომ აღარ მომიწიოს. მიმიფურთხებია შენი საქვაბისთვის და შენი კაცობისთვის, საერთოდ!“ — ასე ეტყვის, გამოიჯახუნებს კარს და წამოვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სანტექნიკოსი ანზორ ფხალაძე ვასილ მენაბდესა და ბესარიონ კეჟერაძეს შორის იჯდა და ავადმყოფ სახლმმართველს თვალებში შეჰყურებდა.

— შენ მაინც საიდან გაიგე, ჩემო ანზორ, ვინ გითხრა? — წნევადარტყმული უსაზღვროდ კმაყოფილი იყო.

— რა გაგება უნდოდა, ნოევიჩ, მთელი ქუჩა მაგაზე ლაპარაკობს. საავადმყოფოდ გცალია ახლა, ნოევიჩ, შენ?

— მიქელ-გაბრიელი არ დაგიდევს, გცალია თუ არა, — ჩაიცინა სახლმმართველმა.

— ათასი უბედური დადის ამ ქვეყანაზე. რა ხელი აქვს შენთან მიქელ-გაბრიელს ჯერ? კაი კაცს რომ არ დაეტაკოს, ღვთის პირიდან გადავარდნილი ცოტაა? — ანზორ ფხალაძე ისეთი ექსტაზით ლაპარაკობდა, რომ ვასილმა და ბესარიონმა ეჭვით გადმოხედეს.

— ეჰ, ჩემო ანზორ, ვინ გიფასებს კაი კაცობას! ხომ გაგიგონია, მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო. მიქელ-გაბრიელს რომ სია უჭირავს ხელში, იმ სიაში კაი და გლახა ერთმანეთის გვერდზეა მოქცეული. ღირსების მიხედვით კი არაა დალაგებული წამსვლელ-დამრჩომი, — შეიშნო ბენომ თავისი მდგომარეობა.

— ალფავიტზეა ალბათ, — სიტყვა შეაშველა ვასილ მენაბდემ.

— რა იყო მაინც, რა დაგემართა, რომ დაგვიხეთქე გულები? — შორს გაუტია სანტექნიკოსმა.

— ორზე მოვრჩი დღეს თათბირს. მარტო რომ დავრჩი, მე ვთქვი, გაზეთებს გადავხედავ-თქვა. სანერვიულო, კაცმა რომ თქვას, არც თათბირზე იყო რამე და გაზეთში ხომ ყველაფერი კაი წერია. ამ ადგილას, ყურების გასწვრივ, კეფა ამტკივდა. ცუდად მედო ალბათ ბალიშზე წუხელ თავი-მეთქი. სანამ ჩაის შემოიტანდნენ, ყურებმა შუილი დამიწყო და მერე აღარაფერი მახსოვს...

მესამედ ჰყვებოდა ავადმყოფობის ამბავს ბენო, და რომ დაამთავრა, გაიფიქრა, ცოტა უნდა შევკვეცო, თორემ, როგორც ჩანს, დღეს ბევრი მნახველი მოვა და ასე დაწვრილებით თუ ვუამბე ყველას, წნევის აწევა მაშინ ნახეო.

* * *

ლიფტის კაბინა რომ დაეშვა, სამივემ თითქმის ერთდროულად ამოიხვნეშა. მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს. ხმის ამოღება არც ერთს არ სურდა, რადგანაც ცალცალკე ყველას ეგონა, რომ დანარჩენი ორი საჩხუბრად კი არა, მართლა ავადმყოფის სანახავად იყო მისული.

და გულში სამივეს რცხვენოდა. რატომ? რის გამო? ამისათვის ანგარიში ვერ მიეცათ. რაღაცაში დამნაშავედ გრძნობდნენ თავს წნევააწეული სახლმმართველის წინაშე.

ბოძთან სულელი გოგია იდგა და თითქოს მათ ნახვას ელოდაო, ხელი დაუქნია, — მოდით, გამოცანას გეტყვითო!

მივიდნენ.

გოგიამ ცხვირი მოიხოცა, ჯოხი ერთი ხელიდან მეორეში გადაინაცვლა, მაღლა აიხედა და დაიწყო:

პაწაწინა წვერცანცარას
საქმე ანდეს დიდიაო,
ხან თუ წვერით მიერჭობა,
ხანაც კუდით ჰკიდიაო.

— კაცი! — ყველას დაასწრო ბესარიონ კეჟერაძემ.

— ვერ მოგართვი! — გოგიამ მისთვის ჩვეული ღიმილი აიფარა სახეზე, აქაო და დიდ საიდუმლოს ვმალავო.

— შენ გვითხარი! — უგემურად თქვა ანზორმა.

— ნემსი, თქვე შტერებო, ნემსი! — გამოაცხადა გოგიამ და ქვეყანაზე უბედნიერესი კაცის სიცილით გაიცინა.



# საბავშვო ბაღი

საბავშვო ბაღის გამგის — ქსენია სხვიტარიძის გამოსვლა მოკლე, მაგრამ სუსხიანი გახლდათ.

— თავს ნუ მოვიტყუებთ, ამხანაგებო... მე ახალი ადამიანი ვარ თქვენს ქარხანაში. წელიწადიც არაა, რაც ბაღის გამგედ ვმუშაობ, მეოთხე თუ მეხუთე კრებას ვესწრები და ერთმანეთის ქების და ტაშისცემის მეტი არაფერი გამიგონია ჯერ. თავს კი ნუ მოვიტყუებთ, ამხანაგებო. ასე არის ეს. სამი წელიწადია შემფუთავი საამქროს ორი კედელი ვერ ამოგვიყვანია და იმ ორი კედლის მასალით ხუთი სახლი აშენდა ბროწეულაში. ყველა ხედავთ ამას. იცინოდნენ გუშინ მუშები: მელიქიძეს და კაპანაძეს რაში მისცეს პრემია, ამ თვეში სულ ორ დღეს იყვნენ სამსახურშიო. ყველაფერი კარგი ვთქვით დღეს აქ, მაგრამ ის რატომ დაგვავიწყდა, ორი ვაგონი უხარისხო პროდუქცია რომ დაგვიბრუნეს უკან გუშინწინ? ჩვენი ოჯახია ეს და უნდა ვთქვათ, სიმართლე არავის უნდა ეწყინოს. ასე არის ეს!

ქსენიას ნათქვამს მარმელადის ფაბრიკის საერთო კრების დადგენილებაზე გავლენა არ მოუხდენია. ტაშიც არავის დაუკრავს. არც მხარის დასაჭერად გამოსულა ვინმე და არც წინააღმდეგ. ფაბრიკის დირექტორმა ვასილ ხარაბაძემ საბოლოო სიტყვაში ქსენია არც ახსენა. კრება რომ დამთავრდა და კიბეზე დაეშვნენ, დირექტორმა ხელი გამოსდო და ჩურჩულით უთხრა: „კარგია, ძალიან კარგია, ქალბატონო ქსენია, უნდა გაგვაკრიტიკოთ, აბა რა. ხანდახან უნდა გამოგვაფხიზლოთ!" „ჩვენი ოჯახია, ბატონო ვასილ, აბა სად უნდა ვთქვათ სიმართლე?" — შეჰლიმა ქსენიამ.

დირექტორი და საბავშვო ბაღის გამგე ამ სიტყვებით დაშორდნენ ერთმანეთს.

ქსენიასთვის რომ გეკითხათ გამოსვლის მიზეზი, დარწმუნებული ვარ, ვერ აგიხსნიდათ. აღარც ახსოვს, როგორ ასწია ხელი და როგორ აღმოჩნდა ტრიბუნაზე. კონკრეტულად არ ვილაპარაკებ, სადღეგრძელოების კრება რომ გამოგვდის, ამას ვიტყვი მარტო და დავჯდებიო. რა უნდოდა? შემფუთავი საამქროს გაფართოება ეჩქარებოდა? კაპანაძის და მელიქიძის ეხარბებოდა? წუნის მოსპობით იყო დაინტერესებული? საბავშვო ბაღის გამგეს ეს ყველაფერი რატომ ადარდებდა? იქნებ, მართლა გული შესტკიოდა? ვინ იცის, ქსენია სხვიტარიძის კრიტიკულ სიტყვას, სხვებთან ერთად, ერთი პატარა მიზეზიც ჰქონდა, ჩემი მოკლე მოსაზრებით: ქსენია აქტივისტი ქალი იყო. ახალგაზრდობისას საზოგადოებრივი მუშაკის კარგ ალღოსა და ენერგიას ამჟღავნებდა. მუშაობდა კიდეც სხვადასხვა დროს მეტნაკლებად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. რიხიანი ლაპარაკი და დაპირებები უყვარდა. ორმოცს რომ მიაღწია, მოულოდნელად გამოუძახეს და მარმელადის ქარხნის საბავშვო ბაღის გამგედ დანიშნეს. რომ ვთქვა, ძალიან გაეხარდა-მეთქი, მართალი არ ვიქნები. უფრო მაღალ ადგილს ელოდა, ცოტა გახვანცალდა, მაგრამ დაარწმუნეს, ასეა საჭიროო და ქსენიასაც ხმა აღარ ამოუღია. მეორე წელი იწურება, რაც ბაღს ჩაუდგა სათავეში. მტერი არც ამჯერად გააცინა, ძალა და ენერგია არ დაიშურა, ჩვილ ბავშვთა აღზრდის ეს უსათუთესი კერა ფეხზე დააყენა. დაუზარელი ქალი იყო და ყველა კმაყოფილი ჰყავდა. ერთი რამ უღრღნიდა გულს; დრო გადიოდა და დასაწინაურებლად არავინ ეძახდა. ვერავითარ უხერხულობას ვერ ვხედავ ქსენიას სურვილში, ძვირფასო მკითხველო. საზოგადოებრივი მუშაკის კარიერაზე ოცნებობს ქალი, აქვს კიდეც საამისო უნარი და მარიფათი, ერთგულად ემსახურება ქვეყანას და უნდა, რომ ეს გულმოდგინე მეცადინეობა დაუნახონ და დაუფასონ. ამიტომაც, მე მგონი, ქსენიას დღევანდელ სიტყვას სხვა სიკეთესთან ერთად თავის გამოჩენის სურვილიც ახლდა.

კრების შემდეგ სამი დღეც არ იყო გასული, რომ ქსენია სხვიტარიძის ბაღს რევიზია დაეცა: ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილე, საზკვების სამმართველოს უშტატო რევიზორი და სახალხო კონტროლის კომისიის სამი წევრი. რევიზიამ ორი დღის გულმოდგინე მუშაობის შემდეგ დაადგინა, რომ საბავშვო ბაღის მუშაობაში „მთელი რიგი ნაკლოვანებები შეიმჩნეოდა". უხარისხოდ ფორმდებოდა და თანამედროვე ვითარებას ოპერატიულად ვერ ასახავდა კედლის გაზეთი. დერეფანში ფანჯრის რაფაზე მტვერი იდო. მიღებული სათამაშოების ერთი ნაწილი გაუხსნელად ეწყო მეკუჭნავის ოთახში, ხოლო სასადილოში ორი ქილა ზედმეტი ქლიავის კომპოტი აღმოჩნდა.

კომისიამ ეს ყველაფერი კეთილსინდისიერად ჩამოწერა და საბავშვო ბაღის გამგეს წარუდგინა აქტზე ხელის მოსაწერად.

— შენი არ მიკვირს, შალიკო? — ეუბნებოდა ქსენია ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილეს, — ხელს კი მოვაწერ, ყველაფერი სწორია, მაგრამ თავს კი ნუ მოვიტყუებთ, შე კაცო! ეს ვართ სულ? ასე უცებ გადამიხადა ვასო ხარაბაძემ კრებაზე ჩემი გამოსვლის სამაგიერო? კაცი მეგონა. რა ვთქვი, თუ ძმა ხარ, ისეთი? რა იყო ახლა ეს შემოწმება? ჭკუა უნდა მასწავლოს? ამნაირი შემოწმების მეშინია მეე? მე მაგას თვალში ხომ არ ვეპატარავები? რევიზია, თორემ ბავშვებს არ ვპარავდე საჭმელს და სახლში არ მიმქონდეს! კედლის გაზეთიო, რომ ჩაგიწერიათ, რა უნდა ასახოს, ბიჭო, ოპერატიულად კედლის გაზეთმა? მტვერიო, აბა ნახეთ ბავშვების ოთახები თუ არაა დაკრიალებული, შემოსასვლელში, შე კაი კაცო, ვერ მოასწრო დამლაგებელმა სველი ტილოს გადასმა ამ დილით. შევჭამოთ? სათამაშოებს ყველას ერთად ხომ არ დავუწყობთ ბავშვებს, შალიკო. ყველა ერთად რომ მივცეთ, არ იცი მაგენის ამბავი? მეორე დღეს არც ერთი არ ექნებათ. არ დალია ბავშვმა ის ორი ქილა კომპოტი გუშინ და მზარეულს უწყვია. ხომ ხედავ, უკან, საწყობში კი არ შეგვიბრუნებია, დღეს მივაწვდით სადილზე, თქვენს აქტზე კი არ ვწუხვარ მე, ა, ბატონო ჩემი ხელმოწერა, ხუთი კაცი მოხვედით და რაღაც ხომ უნდა დაგეწერათ. მე იმას ვდარდობ, რომ ვასო ხარაბაძე არ ყოფილა კაი კაცი. კაი, თუ გინდა გამოვედი და შევცდი, თუ გინდა. ასე უნდა გადამიხადოს? ქალი ვარ მე ბოლოსდაბოლოს, მეტი თავდაჭერა არ მართებს ამხელა ფაბრიკის დირექტორს? მე, საბავშვო ბაღის გამგეს მდევნის? მასე სიმართლით იარე შენ, რავაც მართალი ხარ ჩემთან-თქვა, ასე გადაეცი, ჩემო შალიკო!

შალიკო, ვირთხისთვალება, ბეჭმრუდე ინჟინერი, აღელდა და ხმას აუწია:

— მე არაფერს არ გადავცემ, ქალბატონო ქსენია. მე არავის ფოსტალიონი არა ვარ აქანა. თუ რამე გაქვს სათქმელი, შენ თვითონ უთხარი. არ დაგიმალავ, კი, დირექტორის განკარგულებით მოხდა ეს შემოწმება. თქვენი ანგარიში თქვენ გაარკვიეთ ერთმანეთში. მე რა შუაში ვარ! საერთოდ ვინც მე ამ ადგილკომში ამირჩია, იმას დექცა ოჯახი! რა ჩემი საქმეა. რაც აქ ჩამოვწერეთ, არაფერი არაა ეს, თქვენც კარგად იცით. მართლა, თქვენი თქმის არ იყოს, ვერაფერი ვერ ნახა ამ ხუთმა კაცმაო, ხელცარიელი რომ წავსულიყავით, თქვენთვის არ იქნებოდა კარგი, მაშინ მართლა დაეჭვდებოდნენ რაღაცაში. ამას რა უნდა მოყვეს, არაფერი. თანაც, რაც აქტში წერია, თქვენი ბრალი არც ერთი არ არის, თქვენ უშუალოდ არც ერთი არ გეხებათ. სალაპარაკოდაც არ ღირს, კარგად ბრძანდებოდეთ!

ქსენია სხვიტარიძის განთავისუფლება მეხის გავარდნასავით გაისმა ქალაქ ბროწეულაში. ქალაქში დარხეულ ხმათაგან ჭეშმარიტებას ვერაფრით ვერ დაადგენდით. ბროწეულაში ქსენიასაც ჰყავდა თავისი პატივისმცემელი და მითუმეტეს — ვასო ხარაბაძეს. ქსენიას მხარე გულზე მჯიღის ცემით გაიძახოდა — ეს რა ჩაიდინა მარმელადის ფაბრიკის დირექტორმა, კრიტიკის ჩახშობა ჰქვია, აბა რა ჰქვია, ახლა, მის საქციელსო. ქვეყანა ჩალით კი არაა დახურული, ვინ აპატიებს ქსენიას დაჩაგვრას ხარაბაძესო. ქსენია არც ისე „საწყალია", ეს ამბავი უბრალოდ ჩაატაროსო. თაგვმა რომ კატა გამოთხარა, ისე მოუვიდა დირექტორსო.

ვასო ხარაბაძის მხარე „ამტკიცებდა": ეგღა აკლია ახლა ამხელა ფაბრიკის დირექტორს, საბავშვო ბაღის გამგე ვერ გაანთავისუფლოსო. ძალიანაც სწორად მოიქცა, გუდა-ნაბადი რომ აუკრა თავისი ფაბრიკიდანო. წინამასწარა არავის უნდა სამსახურში დღესო.

ქსენია სხვიტარიძემ პირში წყალი როდი ჩაიგუბა, რკინის ქალამნები ჩაიცვა და სამართლის საძებნელად გასწია. ქვეყანა არ აღმოჩნდა ჩალით დახურული და ვასო ხარაბაძის კაბინეტში იშვიათად როდი იმართებოდა დაახლოებით ამგვარი ხასიათის დიალოგები:

**დიალოგი პირველი. 27 სექტემბერი.**

— რას გერჩის სხვიტარიძე, ვასო ბატონო?

— მიჩივლა უკვე? ასეც ვიცოდი.

— გიჩივლა რომელია, სასწრაფოდ მიიღეთ ზომებიო, თავმჯდომარე სწერს.

— რას მერჩის, ჩემო სერგო და, ხომ იცი ჩვენებურის ამბავი. რა მართალი მიზეზითაც არ უნდა მოხსნა, გადამეკიდაო, გაიძახის. ალმასკომმა გამომიგზავნა ბაღის გამგედ. ვერ ივარგა, ვერ იმუშავა, თორემ ვინ მამაძაღლი... თქვენს გამოგზავნილს ხმას გავცემდი მეე? შეუმოწმებია კონტროლს და ფაქტის წინაშე დამაყენეს. შენ დაგაწერეს საჩივარი? კიდო კაი, ვინმე თავგახურებულს რომ არ ჩაუვარდა ხელში, დამიწყებდა გამოკითხვას და გამოძიებას.

**დიალოგი მეორე. 5 ოქტომბერი.**

— მოდი, შემოდი, ხმაზე კი ვერ



გიცანით. ორთოვიძე ბრძანდებით ხომ? ჩამოვრჩი ცხოვრებას. კი აღარ ვიცოდი შენ თუ დაამთავრე და ჩვენს გაზეთში გამოგანაწილეს.

— სხვიტარიძის წერილია შემოსული, ვასილ ბატონო.

— ვიცი, ვიცი, მელაპარაკა რედაქტორი ახლა, ამ წუთას. ა, გენაცვალე, საბუთები. აქა მაქვს ყველაფერი, ისეთ რამეს გავაკეთებდი ახლა მე, რომ ხელისმოსაჭიდი ჰქონოდა რამე? არ ივარგა, არ გამოდგა ბაღის გამგედ და ჩემი ბრალია? მოკლედ, საყვედურსაც აღარავინ კადრულობს დღეს. შეიძლება ასე მუშაობა? თუ ვერ მუშაობს, რატომ არ ხსნითო, გვეუბნებიან. მოვხსნით და ასეთ დღეში ვართ. აცდენს ქვეყანას და სისხლს უშრობს ხალხს. რას შვრება მამაშენი, პავლე, ხომ არ დაბერდა? შენ ეგებ არც კი იცი და ჩვენ ნათესავებადაც ვერგებით ერთმანეთს. მამაჩემს პირველი ცოლი კვარაკვახიძის ქალი ჰყავდა...

**დიალოგი მესამე. 25 ოქტომბერი.**

— მადლობა ღმერთს, რომ ჩამოგიცდა ფეხი, ჩემო სოსო. რას მივაწერო შენი სტუმრობა? დიდი კაცი ხარ დღეს.

— ცუდადაა შენი საქმე. ერთი ფაქტი უნდა შევამოწმო. რას შვრები, რავა ხართ?

— სხვიტარიძის საქმეზე იქნები. აშენდა მაგის ოჯახი. სხვა ვინ მაღირსებდა შენს ნახვას! რაც დავამთავრეთ, ასე პირისპირ აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. სირცხვილი არაა მერე ეს, სოსო? ერთ სისტემაში მაინც არ ვმუშაობდეთ.

— ოთხჯერ იყო მმართველთან, ეს ოჯახქორი. შეისწავლეთო, დაგვავალა. ვთქვი, მე თვითონ წავალ, თანაც, ვასოს ვნახავ და ერთად ორ კურდღელს დავიჭერ-მეთქი, ნანული ხომ კარგადაა, ბავშვი რამდენი გყავთ?..

**დიალოგი მეოთხე. 13 ნოემბერი.**

— მობრძანდით, მობრძანდით. კაკაურიძე, რასაკვირველია. მითხრეს, დამირეკეს, დაბრძანდით. რა ამბავია თქვენსკენ?

— სხვიტარიძის საჩივარი უნდა შევამოწმოთ!

— აღარ შემიძლია, ბატონო. ნორმალური მუშაობის პირობები არ გამაჩნია. გადამიყოლა ამ სხვიტარიძის საქმემ. აქ არის ყველაფერი. ეს საქმე თქვენს ზემოთაც იციან. არ დაუტოვებია ინსტანცია, მიკვირდა, თქვენგან რომ აქამდე არავინ მოვიდა. ინტრიგანი ქალია, მაბეზღარა. ვინმემ არ უნდა დაუდოს ზღვარი მაგის ხლიწინს ზევით და ქვევით? მოვხსენით სამართლიანად და მაინცდამაინც ჩემს ადგილზე დამაბრუნეთო. სამართალი აღარაა ქვეყანაზე? ყველა ჩემს მხარეს როგორაა! ეს საქმე იკვლია, ბატონო, ალმასკომმა, ტრესტმა, სამმართველომ, რედაქციამ, მილიციამ, სასამართლომ. ა, აქ არის დასკვნები. ჩვენი ფაბრიკის დირექციის გადაწყვეტილება ყველამ ძალაში დატოვა. აი, აქ არის ყველაფერი და თუ არ შეწუხდებით, გულდასმით გადახედეთ. ამ დილით ჩამობრძანდით? სად გაჩერდით, რომელ სასტუმროში? ჯერ არსად? ღმერთო კი მომკალი, დავრეკავ ახლავე. ჯერ ნასაუზმევიც არ იქნებით.

დანარჩენ ექვს დიალოგს შეგნებულად გამოვტოვებთ, რადგანაც შინაარსობრივად ახალს თითქმის არაფერს შეიცავენ. მოვიტანთ მხოლოდ ვასო ხარაბაძისა და მისი მოადგილის ერთ საუბარს (ეს საუბარიც იმიტომ მოგვაქვს, რომ ახსნა ეძლევა ჩვენი ნოველის ფინალს, რომელიც საქმეში ჩაუხედავ კრიტიკოსს, შეიძლება, დაუჯერებლადაც კი მოეჩვენოს).

საღამოს შვიდი საათია.

ვასო ხარაბაძე ფანჯარასთან დგას და თავის კაბინეტიდან ქუჩას გაჰყურებს. ტროლეიბუსის გაჩერებასთან, როგორც ყოველთვის, ჯგლერთაა. დაუკაკუნებელად შემოდის მოადგილე. ქერეფცუა წვერულვაში სახეზე მოსდებია, კენგურუსავით ყუნცულით მოაბიჯებს და ალაგ-ალაგ შერჩენილ წამწამებს ჯღიბიანივით ახამხამებს.

— არ გაჩერდება-თქვა, ხომ ვთქვი, სხვიტარიძის ქალი, მე.

— ახალია რამე? — ფანჯარას თვალს არ აშორებს ვასო ხარაბაძე.

— კიდევ შეუტანია სამმართველოში საჩივარი.

— მაგათი ბრალიცაა, უთხრან ერთხელ და სამუდამოდ, გაჩერდი, თვარა დაგიჭერთო.

— მაგას ვინ ეტყვის. ჩივილის უფლება ყველას აქვს. თანაც, შენ ხომ იცი, ქსენია მთლად უპატრონოც არ გეგონოს, წამქუსქუსებელიც ბევრი ჰყავს.

— მოკლედ, აღარ ყოფილა, აბა, საშველი და ქსენიას მსხვერპლი ვყოფილვართ ყველანი!

— ერთს ვიტყვი მე...

და ვასო ხარაბაძის მოადგილე ერთს ამბობს.

* * *

აპრილის ერთი ტურაქორწილა დილა იყო.

ჯერ წამოწვიმა, მერე მზემ გამოიხედა და თითქოს გადაიფიქრაო, ისევ ღრუბლებში შეჰყო თავი.

მარმელადის ფაბრიკის საბავშვო ბაღის კარებთან ღამის დარაჯი ეზეკია დარახველიძე იდგა და აჟივლებული ბავშვების დედებს დაუზარებლად განუმარტავდა:

— აღარაა ბაღი, ბატონო. დეიხურა ბაღი. სხვაგან უნდა წეიყვანოთ ბავშვები. რა ვიცი მე... სადაც თქვენ გაგეხარდებათ. ბაღის მეტი რაა ბროწეულაში. ბრძანება მოვიდა, აღარ ჭირდება მარმელადის ფაბრიკას საბავშვო ბაღიო. დირექციამ დაადგინა, ვერ ამართლებს ბაღიო, რა ვიცი მე. არ გროვდება ბავშვებიო. ერთი სიტყვით, ასეა, რავარცაა! ჩემთვის არ უკითხავთ არაფერი. იმგენმა უკეთესად არ იციან თავისი საქმე?!

# ყველაფერი მხარგრძელთა შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ნატროშვილი

ბევრი რამ დაწერილა სახელოვან მხარგრძელთა შესახებ. ბუნებრივიცაა, ვინაიდან ამ საგვარეულოს წარმომადგენლები თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ XII-XIII საუკუნეების საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზაქარია და ივანე მხარგრძელების მოღვაწეობა. ქართული წყაროები ქებით მოიხსენიებენ მათ ღვაწლსა და გარჯას: „ზაქარია და ივანე, კაცნი ბრძენნი, მხნენი, ბრძოლათა შინა დიდად გამოცდილნი და გუარეულადცა ერთგულნი მეფეთანი... ესე კაცნი ღირსნი იყვნეს კაცობისანი“. ისინი უყვარდა მეფესაც და ხალხსაც. ირანში ლაშქრობიდან დაბრუნებისას უეცრად გარდაცვლილი ზაქარია მხარგრძელი, ქართველი მემატიანის სიტყვით, „იგლოვა ყოველმან კაცმან საქართველოს მყოფმან“.

ამ ბოლო ხანებში მხარგრძელთა ირგვლივ წარმოიქმნა ზოგიერთი გაუგებრობა და რაც გუშინ არ ყოფილა მსჯელობის საგანი, დღეს ქართველ მეცნიერთა საკვლევი და საფიქრალი გახდა.

ბოლოს და ბოლოს, ვინ არიან მხარგრძელნი, საიდან მოვიდნენ საქართველოში, რომელი ღმერთი სწამდათ, ვის ემსახურებოდნენ, რისთვის იბრძოდნენ, საქართველოს მეფის თავდადებული მოხელენი იყვნენ თუ საქართველოს სამეფოს ბატონ-პატრონები, ანუ „უგვირგვინო მეფენი“?

ყველა ამ კითხვაზე ამომწურავი და ზედმიწევნით ზუსტი პასუხები არის გაცემული გამოჩენილი ქართველი მეცნიერის შოთა მესხიას წიგნში „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979 წელი).

აწ განსვენებული მკვლევარის ნაშრომი მხოლოდ მხარგრძელებს არ ეხება. მასში განხილულია სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები, კერძოდ — საქართველოს ფეოდალური მონარქიის ცენტრალური გამგებლობის სისტემის შექმნა; სავაზიროს წარმოქმნის პრობლემა; მეფის თვითმპყრობელობის საკითხი XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე („ერთნებობისა და თანადგომის“ პრობლემა); „დარბაზის რიგის“ მოხელეთა ვინაობა და ფუნქციები. ჩამოთვლილ საკითხებს, ახლებურად რომ არის გააზრებული და გადაწყვეტილი, წიგნის პირველი ნახევარი ეთმობა. მხარგრძელთა საგვარეულოს ისტორია გადმოცემულია წიგნის მეორე ნახევარში. მკითხველთა ფართო წრისათვის, ალბათ, უფრო საინტერესო იქნება მხარგრძელთა საკითხი, რომელზეც ბევრი რამ დაწერილა დღემდე (მართებული თუ უმართებულო), მაგრამ შ. მესხიას მიერ პირველად არის შესწავლილი მთელი სიგრძე-სიგანითა და ჭეშმარიტად მეცნიერული სიზუსტით.

ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს მხარგრძელთა შესახებ არსებულ მასალებს ქართულ და სომხურ ნარატიულ წყაროებში, სომხურ ეპიგრაფიკაში, სათითაოდ ჩერდება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ სხვადასხვა მოსაზრებაზე.

მხარგრძელთა წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით შ. მესხია ასკვნის, რომ ქართული წყაროს ცნობა ძველი ირანის სამეფო საგვარეულოდან მხარგრძელთა მომდინარეობის თაობაზე განპირობებულია იმით, რომ დაწინაურებული საგვარეულოს ხანდაზმულობა და უცხოური წარმოშობა, იმდროინდელი ფეოდალური თვალსაზრისით, უტყუარი საბუთი იყო ოდითგანვე მისი ძლიერებისა. ამიტომაც ეძებდნენ ისტორიკოსები ამა თუ იმ მსხვილი საგვარეულოს წინაპრებს შორეულ ისტორიულ წარსულსა და უცხო ქვეყნებში (სანიმუშოდ: თეორია ბაგრატიონთა ებრაული წარმომავლობის თაობაზე, და სხვ.). მკვლევარი გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებს XIII ს. სომეხი ისტორიკოსების კირაკოს განძაკეცისა და ვარდან დიდის ცნობებს მხარგრძელთა წინაპრების ქურთული წარმოშობის შესახებ. ამასთან ერთად გაბათილებულია ცდა მხარგრძელთა შორეული წინაპრების ქართველობის დამტკიცებისა.

შ. მესხია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ მხარგრძელთა საგვარეულოს მოიხსენიებენ „ზაქარიანთა“ საგვარეულოდ (ეს გვარი ხელოვნურად არის შექმნილი თამარის ამირსპასალარის — სარგისის მამის საკუთარი სახელის მიხედვით) და მიიჩნევენ, რომ „მხარგრძელი“ მხოლოდ

სარგისის ზედწოდება იყო. მაგრამ ქართული წყაროები „მხარგრძელად“ მოიხსენიებენ არა მარტო სარგისს, არამედ მის შვილებსა და შვილიშვილებსაც. გარდა ამისა, სარგისის სიცოცხლეშივე მხარგრძელებად იწოდებიან მისი ძმისწულებიც. მაშასადამე, ეს სარგისის პიროვნული ზედწოდება კი არ არის, არამედ სახელგანთქმული საგვარეულოს ორივე შტოს საერთო გვარსახელია, რომელიც დადასტურებულია სომხურ ეპიგრაფიკულ მასალებშიც, სადაც იგი შესულია თავისი წმინდა ქართული ფორმით და არა თარგმნილი სახით. შ. მესხია შენიშნავს, რომ გვარსახელი არ ითარგმნება და ამიტომაც არ უთარგმნიათ იგი ფრანგულად მ. ბროსეს, რუსულად ნ. მარს, ინგლისურად ვ. მინორსკის და უ. ალენს, გერმანულად ფ. იუსტის, თუმცა დასახელებულ ენებზე მოიძებნებოდა „მხარგრძელის“ შესატყვისი.

„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არც ქართულ და არც სომხურ წყაროებში სხვა საგვარეულო სახელი დადასტურებული არ არის“, —წერს შ. მესხია და დასძენს, რომ გვარსახელის წმინდა ქართული ფორმა „მხარგრძელი“ თავისთავად მიუთითებს ამ საგვარეულოს ადრევე გაქართველებაზე, ქართულ ფეოდალურ საგვარეულოდ გადაქცევაზე.

საგანგებო ყურადღება ეთმობა მხარგრძელთა სარწმუნოებრივი კუთვნილების საკითხს, რასაც შუა საუკუნეებში ეთნიკურ წარმომავლობაზე მეტად ჰქონდა მნიშვნელობა ამა თუ იმ მოღვაწის ეროვნების განსაზღვრისათვის. სხვადასხვა წყაროს ღრმა ანალიზის საფუძველზე მკვლევარი აღნიშნავს, რომ მხარგრძელთა წინაპრებმა ჯერ კიდევ თავის პირველსაცხოვრისში მიიღეს ქრისტიანობა და ამიტომაც იძულებულნი გახდნენ, გამოყოფოდნენ ქურთულ ტომებს.

XI-XII საუკუნეებში მიმდინარე საერთო ისტორიული მოვლენის ბუნებრივი შედეგი იყო მონოფიზიტ მხარგრძელთა მეორე შტოს ადრევე, ხოლო ამ საგვარეულოს პირველი შტოს XIII ს. დამდეგიდან სარწმუნოებრივი გაქართველება“.

სარეცენზიო ნაშრომის კითხვისას კიდევ უფრო ცოცხლად წარმოგვიდგება თვალწინ ივანე მხარგრძელი, რომელმაც პირველმა მხარგრძელთა ძირითადი შტოს წარმომადგენელთაგან შეიცვალა სარწმუნოება და ბოლომდე დარჩა ქართული რჯულის მიმდევარი და დამცველი, ისევე როგორც მთელი მისი ოჯახი და შთამომავლობა (ივანეს მეუღლე იყო ამშენებელი არაერთი ქართული ეკლესიისა).

ერთადერთი მხარგრძელთა საგვარეულოს ორივე შტოში, რომელმაც არ შეიცვალა სარწმუნოება, იყო ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი. შ. მესხია ორიგინალურად აშუქებს ამირსპასალარის სარწმუნოებრივი კუთვნილების საკითხს.

წიგნში გარკვეული ადგილი ეთმობა საქართველოს სამეფო კარზე მხარგრძელთა აღზევების საკითხს და კერძოდ — ზაქარია მხარგრძელის მოღვაწეობას. სარწმუნო მასალების დამოწმებით გაკრიტიკებულია იმ ავტორთა მცდარი შეხედულება, რომელთა მიხედვით თამარ მეფე „ყოვლისშემძლე ძმების ზაქარია და ივანე დოლგორუკების“ ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა. შ. მესხია დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ზაქარია მხარგრძელმა, საქართველოს მეფის უერთგულესმა მოხელემ, დიახაც, დიდი წვლილი შეიტანა ქართული ფეოდალური-მონარქიის განმტკიცებაში, მაგრამ იგი ნამდვილად არა ყოფილა „ქვეყნის ბატონ-პატრონი“ და „სამეფოს ფაქტიური გამგებელი“.

შ. მესხია ასკვნის: „საგვარეულოს, როგორი წარმოშობისაც არ უნდა იყოს იგი, რომლის სახელმწიფოებრივ, სამწიგნობრო და საეკლესიო ენად ქართული ენა იქცა, და რომელიც, დაწინაურების დროიდან, ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ინტერესების მიხედვით მოქმედებდა, მისი შენების საქმეს ემსახურებოდა და, ამდენად, მთლიანად ეკუთვნოდა ქართულ ფეოდალურ სამყაროს, სხვა რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა ქართული ფეოდალური საგვარეულო“.

... ოცდარვათაბახიანი სამეცნიერო ნაშრომი უდიდესი ინტერესით იკითხება და უეჭველია, რომ იგი არა მარტო სპეციალისტთა ყურადღებას დაიმსახურებს, არამედ მიიზიდავს ყველა იმ მკითხველს, ვინც მოუთმენლად ეწაფება საქართველოს ისტორიას და გულთან ახლოს მიაქვს მისი ჭირი და ლხინი. და რაოდენ სამწუხაროა, რომ მკითხველის აღტაცება ველარ მისწვდება ავტორის სმენას, რომელსაც არ დასცალდა წიგნად ეხილა თავისი უკანასკნელი ნაშრომი.

მეტეხთან. სერგო ედიშერაშვილის ფოტო.



## ფიქრები ხმამაღლა

## სოფელს სჭირდება...

მწერალ სოლომონ დემურხანაშვილის წერილი „თქვენ რას იტყვით?“, რომელიც „დროშის“ მიმდინარე წლის № 4-ში გამოქვეყნდა, საზოგადოებრივი განხილვის და მსჯელობის საგანი გახდა.

წერილში წამოყენებული მოსაზრებები აქტუალურ პრობლემებს ეხება. მინდა ერთ-ერთ მათგანზე გესაუბროთ.

საყოველთაოდ ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების წლებში როგორ იცვალა სახე ჩვენმა სოფელმა. მატერიალურმა კეთილდღეობამ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, რიგით კოლმეურნეებს საშუალება მისცა ფართოდ გაეშალათ სხვადასხვა სახის მშენებლობა.

საკითხავია, როგორ შენდება ჩვენი სოფლები, რა სახის საზოგადოებრივი ნაგებობებით, საცხოვრებელი სახლებით, ობელისკებით, ქანდაკებებითა და წყაროებით მშვენდება ისინი.

საცხოვრებელი სახლები ძირითადად საუკეთესო მასალით შენდება, მაგრამ მათი შინაგანი წყობა, ფასადი, შერჩეული ადგილმდებარეობა იშვიათად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებების დონეს.

ხშირად შეხვდებით უგემოვნო სახლებს, რომელთა სახურავებზე ლითონის ხარები, ირმები თუ ცხენები წამოსკუპებულან, რკინის ვეება ჭიშკრებზე მტრედებია მოხატული, საწვიმარი ღარები კი ურჩხულის დაღებული ხახებით „დაუმშვენებიათ“...

განა არ სჯობს, ინდივიდუალური სახლების მშენებლობა, ეზო-კარმიდამოების კეთილმოწყობა ვაწარმოოთ ტიპიური პროექტებით, რომლებიც ჩვენი ქვეყნის რაიონებისათვის არის გათვალისწინებული?

დღეს, როცა სოფელსა და ქალაქს შორის სწრაფად იშლება ზღვარი, — რაიონის ცენტრებსა და სოფლებში მოზღვავებული მშენებლობა შეუძლებელია სამშენებლო პერსპექტიული გენერალური გეგმის, ინჟინრისა და არქიტექტორის გარეშე.

დიახ, თანამედროვე სოფელს აუცილებლად სჭირდება თავისი ინჟინერი და არქიტექტორი.

ისინი არა მარტო ზუსტ, ნათელ, ორგანიზებულ სახეს მისცემენ მშენებლობას, არამედ იზრუნებენ წყაროების გაფორმებაზეც, მიხედავენ უგემოვნო ტრანსფარანტებს, ობელისკებს, ქანდაკებებს...

სოფლად ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ორგანიზაციის მოწესრიგებაში, ვფიქრობთ, სასარგებლო წვლილის შეტანა შეუძლიათ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოებსა და საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებს — რაიონული და სასოფლო საბჭოების ერთობლივი მოქმედებით.

**შოთა ოყროშიძე,**

საკავშირო № 1 სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის პროექტის მთავარი ინჟინერი.

## თითოეული ჩვენგანის ვალი

**ყურადღებით გავეცანი მწერალ სოლომონ დემურხანაშვილის წერილს. წერილში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით მეც მინდა გამოვთქვა ორი მოსაზრება.**

**კონკრეტული მაგალითით დავიწყებ.**

**პირადად ვიცნობდი ერთ პატიოსან კაცს, რომელიც სხვათა ნახედულების და წაბაძვის მსხვერპლი გახდა. ეს კაცი თავის მეუღლესთან ერთად სოფელში ცხოვრობდა, ერთადერთი ვაჟიშვილი კი ქალაქის მკვიდრი გახლდათ.**

**ერთ მშვენიერ დღეს, მეზობლების მიბაძვით, ამ პატიოსანმა და მშრომელმა კაცმა უზარმაზარი სახლის მშენებლობა წამოიწყო. ყველაფერი მოიკლო, წლების მანძილზე წელში გაწყდა, გაიღნაფა და დიდებული სახლი აიშენა.**

**ვინმესთვის ტოლის დადება რას მიქვია! სახლის აშენების შემდეგ ახლა ვეებერთელა სარდაფის ამოთხრა დაიწყო. იმდენი თხარა და თხარა, რომ ცუდად გახდა და ველარაფერი უშველეს.**

**გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბევრი სოფლის მისადგომი, თუნდაც ზემო მაჩხაანში, დღეს ნაგვის დასახვავებელ ადგილად არის გადაქცეული, არავინ ფიქრობს მათ გასუფთავებაზე, გამწვანებაზე, გალამაზებაზე.**

**ჩვენი სოფლების, მათი შემოგარენის, საცხოვრებელი სახლების, ეზოების, სხვადასხვა ნაგებობების მოვლა-გალამაზებაში თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეიტანოს წვლილი.**

**სიმონ კობიაშვილი,**

მასწავლებელი, ზემო მაჩხაანი, წითელწყაროს რაიონი.

ჰელმუტ ბიოტხერი

# გამოსათხოვარი სიმფონია

მოთხრობა



„გამოსათხოვარი სიმფონია“ — ეწერა პარტიტურის ყდაზე. თავადის სასახლისაკენ მთელ დღეს ეტლების დენა არ შეწყვეტილა. იყო ერთი სალამ-ქალამი, ხვევნა-კოცნა; ირგვლივ ყვავილების სურნელი იფრქვეოდა, ისმებოდა ღვინო, თვალისმომჭრელად ელვარებდა ფაიფური... ოპერის თეატრში საღამოს ასობით ჭაღი აინთო. ბრწყინავდა თავადის ლოჟის რომაული მარმარილოს წითელი სვეტები.

მუსიკოსები გამოსათხოვარ კონცერტზე საუბრობდნენ. პროგრამა ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პროგრამის ზენიტი კონცერტის მეორე ნაწილი უნდა ყოფილიყო, სახელდობრ, ჰაიდნის „გამოსათხოვარი სიმფონია“.

სტუმრებმა საკონცერტო დარბაზში მოიყარეს თავი. აქ იყვნენ თავადის ნაცნობები, ნათესავები. იხსენებდნენ მეგობრებს, ბჭობდნენ პოლიტიკის შესახებ...

შემოვიდა ჰაიდნი, თავისი მერხის წინ შედგა და დარბაზს თავი დაუკრა. გაისმა დირიჟორის ჯოხის კაკუნის ხმა. მიწყდა ინსტრუმენტების ხმაც. მუსიკოსებმა ვიოლინოები, ჩელოები და ფლეიტები მოიმარჯვეს. დარბაზი გაინაბა.

ჰაიდნი ოდნავ შეირხა — ეს დაწყების ნიშანი იყო. დარბაზში უვერტიურა გაისმა. ჯერ ვიოლინოთა და ჩელოთა ხმები დაირხა, შემდეგ მათ კლარნეტები და ფაგოტებიც წამოეშველნენ, ბუკები აჰყვნენ. ყოველი მუსიკოსი ისეთი მონდომებით უკრავდა, თითქოს ორკესტრის წარმატება მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული. თითოეული მათგანი დაკვრაში სულსა და გულს აქსოვდა.

დამთავრდა კონცერტის პირველი ნაწილი; ახლა მეორე ნაწილი უნდა შესრულებულიყო.

მაგრამ რა მოხდა? ფერდაკარგული დირიჟორი მუსიკოსებში ჩადგა და ტაშით შეგებებულ დარბაზს თავი დაუკრა. ის-ის იყო მუსიკოსებმა საზეიმო მელოდია შეასრულეს, რომ ყველას ფერი დაეკარგა. ვიღაცის ბაგეს მოსწყდა „გამოსათხოვარი სიმფონია“ შესრულდებაო და ეს სიტყვები მთელ დარბაზს მოედო. სტუმრებმა საუბარი შეწყვიტეს და მუსიკოსებს მიაცქერდნენ.

იოსებ ჰაიდნმა დირიჟორის ჯოხი ასწია და მუსიკოსებმა დაიწყეს. სტუმრებს სმენა დაეძაბათ. ნუთუ ადამიანის ნიჭს შეუძლია ასეთ სრულყოფას მიაღწიოს?!

თავადიც მთელი გატაცებით უსმენდა — ასე იყო ყოველთვის, როცა ორკესტრს ჰაიდნი დირიჟორობდა.

მაგრამ ეს რა ხდება? ასეთი რამ წინათ არასოდეს შეუნიშნავს. უცებ მეორე მესაყვირემ დაკვრა მიატოვა, საყვირი შეინახა, სანთელი ჩააქრო და ორკესტრი დატოვა; მუსიკოსთაგან არავის გაკვირვება მისი საქციელი, არავის უცდია მისი შეჩერება. ჰაიდნსაც თითქოს არაფერი შეუმჩნევია. მესაყვირემ დარბაზიდან გასვლა ვერ მოასწრო, იგივე გაიმეორა ჰობოისტმა. ჰაიდნი დირიჟორობას განაგრძობდა. მუსიკოსები უკრავდნენ.. არა, აღარ უკრავდნენ! ყოველ შემთხვევაში, ორკესტრში მყოფთაგან ბევრი აღარ უკრავდა. აი, ფაგოტისტმა ბაგიდან ინსტრუმენტი მოიცილა, ბუდეში ჩადო, სანთელი ჩააქრო და გავიდა.

თავადმა ხელები სავარძლის საზურგეზე ჩამოაწყო. ეს ხომ გაუგონარი ამბავია! ჰაიდნი მაინც იდგა. შემდეგ პირველი მესაყვირე და მეორე ჰობოისტიც წამოდგნენ, ინსტრუმენტები მერხზე დააწყვეს, სანთლები ჩააქრეს და იქაურობა მიატოვეს. პარტერში ვიღაც ქალმა ცხვირსახოცი აიფარა და ჩუმად ატირდა.

რას სჩადის ჰაიდნი?!.. ორკესტრი თითქმის ჩაბნელებულიყო. სანთლები მხოლოდ დირიჟორისა და თავადის კაპელის საუკეთესო მევიოლინე ტომასინისა და მეორე მევიოლინეს წინ ენთო. თავადი სავარძლის საზურგეს ჩაფრენოდა. აი, მეორე მევიოლინეც წამოდგა, ვიოლინო იღლიის ქვეშ ამოიდო, სანთელი ჩააქრო და გავიდა.

ვიღაც ქალი ხმამაღლა აქვითინდა. თავადი ყველაფერს მიხვდა — მუსიკოსები ჰაიდნს ემშვიდობებოდნენ და სათითაოდ გადიოდნენ. დიახ, სიმფონია გამოსათხოვარი იყო!

რას იფიქრებენ სტუმრები? ან მუსიკოსებს რა მოუხერხოს?!

აი, მისი საყვარელი ტომასინიც წამოდგა და თვალები თავადის ლოჟას მიაპყრო. თავადის კაპელის უბრწყინვალესმა მევიოლინემ უკანასკნელმა დატოვა ორკესტრი.

არა, უკანასკნელმა არა. ჰაიდნი ისევ თავის ადგილზე იდგა. დიდხანს იდგა ასე. იქნებ, დრომ შეწყვიტა დინება?! შემდეგ თავი ასწია, ჯერ მარცხნივ ჩააქრო სანთელი, შემდეგ — მარჯვნივ. დირიჟორის ჯოხი მერხზე დადო, პარტიტურა დახურა და დარბაზს მდაბლად დაუკრა თავი. ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო. უცებ თავადი წამოდგა და... ტაში დასცხო. სტუმრებიც თითქოს ამას ელოდნენო, ერთბაშად გამაყრუებელი ოვაცია გაისმა. მამაკაცები ფეხზე წამომდგარი უკრავდნენ ტაშს. ქალები მკერდიდან ყვავილებს იძრობდნენ და ჰაიდნს ესროდნენ. დირიჟორი ისევ პულტთან იდგა; რამდენჯერმე გამოხატა თავისი მადლობა. იქნებ, დროა ისიც წავიდეს?! ჰაიდნი დაცარიელებულ შუა საორკესტროში იდგა, ესმოდა ხმამაღალი შეძახილი, შესცქეროდა მათ აგზნებულ სახეებს, გაბრწყინებულ თვალებს, შავ თუ ყავისფერ პარიკებს, ბრჭყვიალა ორდენებსა და სამკაულებს.

მან კვლავ დახარა თავი. კვლავ დააპირა გასვლა, მაგრამ არ გაუშვეს. დარჩა, მადლობა რომ გადაეხადა ორკესტრანტებისა და თავისი სახელით.

დარბაზში უკვე არავინ იჯდა — ყველანი საორკესტროს მიაწყდნენ. თავადიც ფეხზე წამოდგა, ჰაიდნთან მივიდა, ორივე ხელი გაუწოდა და სტუმრებს აუწყა:

— იგი, რასაკვირველია, დარჩება, დარჩებიან მისი მუსიკოსებიც!

გერმანულიდან თარგმნა

ოთარ ხუციშვილმა.

# პროფესია — საყვარელი



ეს ამბავი ნახევარი საუკუნის წინათ მოხდა.

უკვე ბინდდებოდა, როცა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის კაბინეტის კარი ვიღაცამ შეაღო.

საქმეში გართულმა რედაქტორმა თავი აიღო. სანახევროდ გამოღებულ კართან საშუალოზე მაღალი ტანის თხელ-თხელი ჭაბუკი იდგა.

— გისმენთ!

აღელვილმა ჭაბუკმა გაცრეცილი პიჯაკის გულისჯიბეში ჩააცურა ხელი, ცისფერ კონვერტში ჩადებული ორად მოკეცილი ბარათი ამოიღო და რედაქტორს გაუწოდა.

— რამდენი წლის ხართ? — რედაქტორმა თავიდან-ფეხებამდე უურადღებით აათვალ-ჩაათვალიერა ახლად მოსული და წაკითხული სარეკომენდაციო ბარათი ისევ ორად გადაკეცა.

— თვრამეტის, ბატონო!

რედაქტორი წამოდგა. მძიმე ნაბიჯებით გაიარ-გამოიარა კაბინეტში, სარკმლიდან გახედა ბინდჩამოწოლილ თბილისის ქუჩას და მშვიდად თქვა:

— ვნახოთ, გამოგცდით!

ანტონ კელენჯერიძე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კედლებში ეზიარა თავის საყვარელ პროფესიას. აქ შეიგრძნო პირველად სალებავშეუმშრალი გაზეთის განუმეორებელი საამო სუნი.

წელი წელს აება, ათწლეულს — ათწლეული. როგორც იტყვიან, ჩიტივით წავიდა და გაფრინდა ნახევარი საუკუნე.

გაფრინდა და თავისი უანგარო შრომის საფასურად იცით, რა მიიღო, რა მოიმკა, რა მიიზლა და მიისარწყულა პატივცემულმა ანტონმა?

სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, სიყვარული! დიდი პატივისცემა, აღიარება, საყოველთაო დაფასება და სიყვარული!

ყველგან, სადაც მუშაობდა, — საქმის სიყვარული, ადამიანისადმი გულთბილი დამოკიდებულება, სიმართლე და პრინციპულობა, კომუნისტური შემართება და გაუტეხელობა ფეხდაფეხ დასდევდა თან.

ასე იყო, როცა ანტონ კელენჯერიძე გაზეთ „კომუნისტის“ პასუხისმგებელ მდივნად დააწინაურეს, როცა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი გახლდათ, როცა მთავლიტის უფროსი იყო, როცა რესპუბლიკის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს ხელმძღვანელობდა.

ასე იყო დიდ სამამულო ომშიც: ანტონ კელენჯერიძეს ბრძოლის ქარცეცხლში შემართულ შაშხანასთან ერთად შემართული კალამი არასოდეს მოუშორებია ხელიდან.

1942 წლის თებერვალი იდგა. ფაშისტური გერმანიის დივიზიები ქერჩის ნახევარკუნძულისკენ მოიწევდნენ.

იქვე, მოწინავე ხაზთან ახლოს, ჯარისკაცის ფარაჯებში გახვეული ჟურნალისტები და პოლიგრაფისტები პირველი ქართული ფრონტული გაზეთის „მედგარი შეტევის“ ახალ ნომერს ამზადებდნენ.

ვის არ შეხვდებოდით აქ: აგერ გაზეთის რედაქტორი ვლადიმერ მაჭავარიანი, მის გვერდით გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი ანტონ კელენჯერიძე იდგა, უფრო იქით ლიტმუშაკები დიტო ლომთაძე, ლავრენტი ჯავახაძე, არტემ ალიბეგაშვილი და სერგო ყურაშვილი კამათობდნენ საგაზეთო მასალაზე, აქეთ კი, მოფარებულ ადგილზე, პოეტი რევაზ მარგიანი მიყუჟულიყო და უბის ბლოკნოტში გაფაციცებით იწერდა რაღაცას.

მოულოდნელად ანტონ კელენჯერიძემ საგანგებო და სასწრაფო დავალება მიიღო.

ისევ არ წყდება ყუმბარების გრიალი და თვითმფრინავების გაბმული ზუზუნი.

ასეა, ცოცხალ მასალას მოძიება უნდა, ფაქტებს შემოწმება სჭირდება, დასაწერი ამბავი საკუთარი თვალით დანახვას მოითხოვს.

ფრონტელმა ჟურნალისტმა ანტონ კელენჯერიძემ გეზი სადგურ ოისულისკენ აიღო, რომელიც ის-ის იყო გაანთავისუფლეს ჩვენმა ჯარებმა.

მიდიოდა და ფიქრებში გართულს მოულოდნელად ჩაესმა გახარებული შეძახილი:

— ანტონ, ბიჭო!..

არა, ეს არ იყო ზმანება! მისკენ ნამდვილად მოიჩქაროდნენ ხელებგაწვდილი ირაკლი აბაშიძე, ნიკო კეცხოველი და დავით ხანთაძე.

გადაეხვივნენ ერთმანეთს, მოიკითხეს. ქერჩისკენ მიმავალმა შემხვედრებმა გახარებულ ანტონ კელენჯერიძეს წვრილ-წვრილად ჩაუკაკლეს თბილისის ახალი ამბები.

დრო არ ითმენდა. გულდაწყვეტილები დაემშვიდობნენ ერთმანეთს და თავთავიანთ საშურ გზას დაადგნენ.

ამას წინათ საქართველოს სსრ დამსახურებულ ჟურნალისტ ანტონ კელენჯერიძეს ვეწვიეთ შინ.

არა, ახსნა არ დაგვჭირდა, მაგიდაზე გადაშლილი ქაღალდები ნათლად მეტყველებდნენ, რომ ჩვენი მასპინძელი რაღაცას წერდა.

იქვე, თახჩაზე, ერთმანეთის გვერდით ელაგა ანტონ კელენჯერიძის წიგნები „ქერჩი — 1942 წელი“, „სერგო ორჯონიკიძე — ჟურნალისტი“, „გურჯები“, „ნიკო კიკნაძე“.

— მემუარულ წიგნზე ვმუშაობ, — გვითხრა ანტონ კელენჯერიძემ, — ამ წიგნს „საყვარელი პროფესია“ უნდა დავარქვა.

გულითადი საუბრის შემდეგ, როცა წამოსვლა დავაპირეთ, პატივცემულმა ანტონმა ასეთი სიტყვებით შეგვაჩერა:

— პენსიონერობა რას მიქვია? სად გაგონილა, რომ ჟურნალისტმა მოისვენოს? იცოდეთ, ტელესტუდიაშიც ვახერხებ მუშაობას, საფონდო გადაღებების ჯგუფში ვარ და ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანების შესახებ კინოფირებს ვქმნით.

გაიღიმა და დაამთავრა სათქმელი:

— ასე, ძმობილო. ორად მოკეცილი სარეკომენდაციო ბარათის შემდეგ ჩემი გამოცდა ისევ გრძელდება....

**ᲒᲘᲕᲘ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲔ,**
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ.

# [illegible]

საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა წლების მანძილზე თავდადებული შრომით მოიხვეჭა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს „მედტექნიკის“ სამმართველოს უფროსმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა პროვიზორმა ოთარ ნიშნიანიძემ.

აი, რას წერს გამოჩენილი მეცნიერი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბორის პეტროვსკი:

„ამხანაგი ოთარ ნიშნიანიძე არის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და გამოცდილი ორგანიზატორი. იგი ძალიან დიდ ენერგიას ახმარს „საქმედტექნიკის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს უწყებების სამედიცინო ტექნიკით აღჭურვას. გულითადად ვულოცავ ოთარ აკაკის ძეს დაბადების 60 წლისთავის იუბილეს და ვუცხადებ მადლობას. პირად ბედნიერებას, შრომაში ახალ წარმატებებს ვუსურვებ მას“.

ამას წინათ ოთარ ნიშნიანიძემ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მედიცინის მუშაკთა საკავშირო პროფსაბჭოს ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი მიიღო.

ამ სიგელის ტექსტი ასეთი სიტყვებით მთავრდება: „დაჯილდოვდეს ოთარ აკაკის ძე ნიშნიანიძე ნაყოფიერი მუშაობისათვის, საუკეთესო ორგანიზატორული და საზოგადო მოღვაწეობისათვის“.

ლაკონიური და ზედმიწევნით ზუსტი შეფასებაა!

1940 წლიდან, როცა თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტი დაამთავრა, ოთარ ნიშნიანიძე მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას ახმარს სააფთიაქო ქსელის სრულყოფას, ორგანიზატორულ საქმიანობას, მშრომელი ხალხის სამსახურს.

ახალგაზრდა პროვიზორმა შრომითი საქმიანობა მაიაკოვსკის რაიონში დაიწყო. მალე იგი ხაშურში გადაიყვანეს სამუშაოდ, შემდეგ კი მთავარი სააფთიაქო სამმართველოს სამხრეთ ოსეთის განყოფილების მმართველად დანიშნეს.

გამრჯე და შრომისმოყვარე, უნარიანი და თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული პროვიზორი ოთარ ნიშნიანიძე ჯერ რესპუბლიკის მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდეგ კი ამავე სამმართველოს უფროსად დააწინაურეს.

ამ საპასუხისმგებლო უბანზე მთელი სიცხადით გამომჟღავნდა ოთარ ნიშნიანიძის შრომითი შემართება, ორგანიზატორული ნიჭი, გულისხმიერება.

ოთარ ნიშნიანიძის კოლეგებს კარგად ახსოვთ, წლების მანძილზე როგორ ილვწოდა იგი სამმართველოს რიტმული მუშაობის მისაღწევად, სათანადო კადრების შესარჩევად, სააფთიაქო დეფექტურის შესავსებად, მედიკამენტებით მოსახლეობის შეუფერხებლად მოსამარაგებლად...

როცა ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ჩვენს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს „საქმედტექნიკის“ სამმართველოს ჩამოყალიბების აუცილებლობა, მისი ხელმძღვანელობა ოთარ ნიშნიანიძეს დაეკისრა.

საქართველოს „მედტექნიკის“ სამმართველო დღეს ერთ-ერთი მოწინავე სამედიცინო დაწესებულებაა საბჭოთა კავშირში. ამ სასიხარულო წინსვლაში, როგორც უკვე ითქვა, თავისი წვლილი მიუძღვის მუდამ ახალგაზრდა, მუდამ გულთბილ, მუდამ მოუღლელ პროვიზორს — ოთარ ნიშნიანიძეს.

**ᲡᲝᲙᲠᲐᲢ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ,**
ᲞᲠᲝᲕᲘᲖᲝᲠᲘ.

აკაკი წერეთლის საიუბილეოდ

# შეხვედრები დიდ პოეტთან

მიტროფანე ლალიძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტროფანე ლალიძე, 1903 წ.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე მ. ლალიძე თავის მოგონებებში წერს, რომ მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა აკაკი წერეთელთან. მიტროფანეს აკაკი ჯერ კიდევ 1892 წელს გაუცვნია და მას შემდეგ მგოსანთან მეგობრული ურთიერთობა არ შეუწყვეტია.

პოეტისადმი სიყვარული და პატივისცემა იგრძნობა იმ შესანიშნავ და ბევრისმთქმელ მოგონებაშიც, რომელიც მიტროფანე ლალიძეს დაუწერია 1942 წელს და გადაუცია საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმისათვის (ხელნაწერთა ფონდი № 13289).

ფართო მკითხველისთვის მიტროფანე ლალიძის მოგონება უცნობია; იგი ოდნავ შემოკლებით პირველად იბეჭდება ჟურნალ „დროშაში“.

ალექსანდრე სიგუა.

16.408

ჩვენი ძვირფასი და საყვარელი მგოსნის აკაკის ერთ-ერთი დიდი სურვილი იყო ის, რომ დაარსებულიყო რაიმე ორგანიზაცია, რომელიც მთელ საქართველოში შეაგროვებდა ძვირფას განძს, საუნჯეს — სხვადასხვა კუთხეში და სოფლებში გადარჩენილ ხალხურ თქმულებებს, ანდაზებს, ზეპირგადმოცემებს, ლექსებს, ზღაპრებს, იგავ-არაკებს, მესტვირულ და საერთოდ, ხალხურ პოეზიას, ბალახეულობით, თაფლით, ირმის ქონით, ნადირის, ცხოველის ნაღვლით და სხვა ამისთანებით ხალხური მკურნალობის ხერხებს, რაც თურმე ძველად ერთობ დიდ და კარგ შედეგს იძლეოდა ამა თუ იმ ავადმყოფობისგან განსაკურნებლად. წინათ თურმე გვყოლია ნამდვილი და მართალი ექიმბაშები, რომელნიც მართლაც რომ დიდ სამსახურს უწევდნენ ხალხს ბუნებრივი წამლობით. მისივე გადმოცემით, ძველ საქართველოში დიდად გავრცელებული ყოფილა უტყუარი და ნამდვილი მკურნალობა სიმღერით, გალობით, ნანინით, ჩონგურით, რითაც ამის მცოდნე პირები კურნავდნენ თურმე მრავალნაირ ავადმყოფს. საერთოდ, პოეტი ვერ მოესწრო მის სიცოცხლეში შეექმნა მისთვის სასურველ ფორმებში ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა ამ ძვირფასი საერთო განძის, საუნჯის შეკრებასა და გადამუშავებას, რასაც აკაკი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნაწილობრივ მას ჰყავდა ამისათვის რამდენიმე პირი დაგზავნილი სოფლად, რომელნიც აგროვებდნენ აღნიშნულ მასალებს და აკაკი შესწორებულს ბეჭდავდა თავის ჟურნალ „კრებულში“...

აკაკის მე ვიცნობდი დაახლოებით 1892 წლიდან. იგი მეტისმეტად უახლოვდებოდა და ემეგობრებოდა დაბალი წრის ღარიბ ხალხს, გლეხებს, მუშებს, ნოქრებს. როდესაც მე მას გავეცანი და დავუახლოვდი, ახალგაზრდა ვიყავი და ვმსახურობდი ერთ პატარა წყლის ქარხანაში. მისი ზეგავლენით დავიწყე ქართული წიგნების გავრცელება სოფლად და ქალაქად, რკინიგზაზე, ვლებულობდი ხელმოწერას ჟურნალ „კვალზე“ და აკაკის ყოველთვიურ კრებულზე. შემდეგ მას მივაყოლე იმ დროს აკრძალული წიგნები, ჟურნალები და სხვადასხვა ფურცლები, რის გამოც 1905 წელს დამიჭირეს და გადასახლებას მიპირებდნენ. აკაკის დახმარებით გადავრჩი.

...1895 წელს ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა ათიოდე კაცის ხელის მოწერით აკაკის დაახლოებით შემდეგი შინაარსის წერილი მივწერეთ: ჩვენ თქვენი ნაწერების და მოწოდების საშუალებით გაგებული გვაქვს ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს დღევანდელი გაჭირვება და მის გასათავისუფლებლად მზად ვართ, თქვენი პირველი მოწოდებისთანავე თავი მოვუყაროთ ასობით ჩვენ ამხანაგს და ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდნენ ჩვენი ძველი გმირები სამშობლოსათვის, რომელთა გმირობა და თავგანწირვა თქვენ გაქვთ მრავლად აღწერილი. ამის მნიშვნელობა ჩვენ შეგნებული გვაქვს.

აკაკიმ ეს ჩვენს ყმაწვილურ ოცნებას მიაწერა, და იმავე დროს გვითხრა, რომ... დღეს ჩვენი მხრივ დიდი გმირობა და ვაჟკაცობა ის იქნება, თუ შევინარჩუნებთ ჩვენ ფიზიკურ არსებობას, ქართულ ენას და მამაპაპათაგან ნაანდერძევ კარგ ადათებს — გაჭირვებულის მოძმის დახმარებას და შველას. მზად უნდა ვიყოთ და ცოცხალი დავხვდეთ იმ ბედნიერ დღესა და დროს, როდესაც ბრძოლა მართლა შესაძლებელი გახდება. ასეთი დრო კი აუცილებლად დადგება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი დაჩაგრული ერები გამოიღვიძებენ. მაგრამ მე მაინც მახარებს თქვენი ყმაწვილური გატაცება და პასუხად ეს ლექსი წაუკითხეთ იმ მომავალ გმირებს, რომელნიც სამშობლოსათვის თავგასაწირად ემზადებიანო:

ალმაფრთოვანა თქვენმა ხმამ,
ბევრგზის გულ-ლახვარ სობილი
და ჩვენს საერთო მშობელსა
მზად ვარ ვემონო შობილი.
ის მიყვარს, ყველას გვიყვარდეს,
ის იყოს ჩვენი ტრფიალი
და მისთვის ნუ გშურს დავცალოთ
სამსალით სავსე ფიალა.

...ერთხელ რამდენიმე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი სოსიკო მერკვილაძის ძმასთან ვიყავით შეკრებილი. შინაურული საღამო იყო: აკაკიმ წაგვიკითხა თავისი ახალდაწერილი პოემა „ნათელა“. ჩვენ ყველანი აღტაცებაში მოვედით. პოეტს ვთხოვე, ნება მოეცა ამ ნაწარმოების გამოცემისა. აკაკიმ გაიღიმა, თუ მეტყვი, რა მოგეწონა ამ პოემაში, გამოცემის ნებას დაგრთავო. მე ვუთხარი, ცოტნეს თავგანწირვა, ნათელას გამჭრიახობა, ხოლო რაც შეეხება ის შავბნელი დრო, რომელიც თქვენ პოემაში გაქვთ აღწერილი, ჩვენი დრო არის-მეთქი. აკაკი წამოდგა, მოვიდა ჩემთან, ხელი ჩამომართვა, გადამკოცნა და მითხრა: თანახმა ვარ, გამოსცე ჩემი „ნათელა“, ოღონდ წიგნს ძვირი ფასი არ დაადოთო.

შემდეგ გამოვეცი „თამარ მეფე“, „გამზრდელი“. გამზრდელის ამბავი აკაკის უამბო ჯანსუღ დადეშქელიანმა. ეს ნამდვილი ამბავია.

...დავით აღმაშენებლის შესახებ აკაკიმ მიამბო: როცა დავითს გელათის ტაძრის აშენება გადაუწყვეტია, მისი სურვილი იყო ისეთი ადგილი გამოეძებნა, რომელიც ყოვლის მხრით შემოზღუდული იქნებოდა მთით და დაფარული ტყით. ასეთი ადგილი მოძებნეს, მაგრამ იქ ერთი გლეხი ესახლა, რომლისთვის უთხოვიათ, აქ წმინდა სახლს ვაშენებთ, ამიტომ სხვაგან უნდა დაგასახლოთო, ოღონდ აქედან ისე უნდა წახვიდე, გული არ დაგწყდესო და ჯამებით თვალმარგალიტი მიუციათ. მაგრამ გლეხს უთქვამს მეფისათვის: თვალმარგალიტი მე არ მინდა, მხოლოდ გთხოვთ, სადმე აქ ახლოს მიწის ნაკვეთი მომეცით, რომ არ მოვშორდე ჩემს ძველ მამაპაპეულ სამოსახლო ადგილსო. მეფემ დააკმაყოფილა გლეხის თხოვნა და გამოუყო საცხოვრებელი ადგილი. ამის შემდეგ ის გლეხი გელათის ტაძრის დარაჯად მუშაობდა...

აკაკის დავით აღმაშენებელი ძალიან უყვარდა. როცა სადმე მიდიოდა, ჯორი მიჰყავდა წიგნებით დატვირთულიო, უყვარდა კითხვაო, — ამბობდა იგი.

...დილით სასტუმრო „კოლხეთში“ შევედი აკაკის სანახავად. იგი შეწუხებული იყო, სადღაც მიეჩქარებოდა. მისალმების შემდეგ ამბავი ვკითხე და მითხრა: ჩემი შვილის, ალექსის დეპეშა მოვიდა, თუ არ დამეხმარე, თავი მოსაკლავი გამიხდებაო. რაღაც საოპერო დასი მოეწყო და იქ ზარალი ენახა და ფულსა სთხოვდა მამას ვალების გასასტუმრებლად. აკაკი ბანკში მიდიოდა ქონების დასაგირავებლად. მე ცოტა ვაწუგეშე და ვუთხარი: ნუ გეშინიათ, თუ ჭკვიანია, თავს არ მოიკლავს, ხომ იცით, ბატონო აკაკი, შოთამ რა თქვა „სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა გონიერსაო“. ჩემი ამგვარი უთავნაგრძნობო პასუხი არ ეამა აკაკის და მითხრა: „შენ მეტი და უკეთესი პასუხი არ მოგეთხოვება, რადგან ჯერ მამა არ ხარ და მაგ სიტყვის პასუხი მაშინ მომეცი, როცა მამა შეიქნები“. მე მივხვდი, რომ ჩემი უხეში პასუხი ვერ იყო შესაფერი, მაგრამ რაღას ვიზამდი, ცოტა ვეთამამებოდი და იმიტომ მომივიდა ასეთი რამ.



ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ბიბლ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი სპორტული კონკურსი

## „რა იცით ოლიმპიადის შესახებ?“

ჩვენს მკითხველებს ახსოვთ, რომ 1980 წლის აპრილში გამოცხადდა **საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და ჟურნალ „დროშის“** სპორტული კონკურსი „რა იცით ოლიმპიადის შესახებ?“

მკითხველებს მიეცათ 10 კითხვა, როგორც ოლიმპიური თამაშების ისტორიის, ისე თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის საკითხებიდან.

მიმდინარე წლის ივნისში სპორტული კონკურსის შედეგები შეაჯამა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: **ნინო დუმბაძე** (თავმჯდომარე) — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო რეკორდსმენი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი; **თენგიზ გოგოლაძე** (თავმჯდომარის მოადგილე) — ჟურნალ „დროშის“ პასუხისმგებელი მდივანი, მწერალი; **ოთარ დემეტრაშვილი** (მდივანი) ჟურნალ „დროშის“ განყოფილების გამგე; **გარუნ აკოფოვი** — გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში; **გულნარა ბახტაძე** — ჟურნალ „დროშის“ განყოფილების გამგე; **რამაზ ლომინაძე** — სპორტის ოსტატი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე; **მურთაზ მნათობიშვილი** — სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგის მოადგილე; **ავთანდილ ციბაძე** — დოცენტი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე; **თენგიზ წივწივაძე** — საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონისა და ქალაქის მკითხველმა. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს კონკურსით დიდ დაინტერესებაზე. უფრო სასიხარულოა მეორე ფაქტი: მკითხველთა მიერ გამოგზავნილ პასუხებში ნათლად ჩანს ოლიმპიური თამაშების ისტორიის, თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის პრობლემების ღრმა ცოდნა. აშკარად იგრძნობა, რომ წელს ჩვენს რესპუბლიკაში ნამდვილი ოლიმპიური ატმოსფერო სუფევს.

საბოლოოდ გამარჯვებულთა ადგილები ასე განაწილდა:

1980 წლის ოლიმპიური საგზურითა და საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა „საქენერგოგაწყობის“ უბნის უფროსი, ინჟინერი **ზურაბ გურგენიძე** (თბილისი).

**ირაკლი გასიტაშვილი** (გორი), ნახევარგამტარების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „მიონის“ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი **ზურაბ ედილაშვილი** (თბილისი), ქალაქ გორის სასწრაფო დახმარების ექიმი **იოსებ ზექალაშვილი** და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი **თემურ ჩიკაშუა** დაჯილდოვდნენ ოლიმპიური სასაჩუქრო ალბომებით — „ათენიდან მოსკოვამდე“, მოსკოვის ოლიმპიადაზე საქართველოდან წარგზავნილ სპორტსმენთა ავტოგრაფებით და საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელებით.

ჟურნალი „დროშა“ ერთი წლით გამოეწერებათ: **ნიკოლოზ ბაქრაძეს** (თბილისი), **იუზა კაციტაძეს** (ქუთაისი), **თენგიზ კილაძეს** (თბილისი), **თინათინ კორახაშვილს** (თბილისი), **აივენგო მამფორიას** (მახარაძის რაიონი, სოფელი შრომა), **კ. მატახერიას** (ცხაკაია), **ვახტანგ ნინიკაშვილს** (თბილისი), **პაატა ხერხეულიძეს** (თბილისი), **ციცინო ჯაფარიძეს** (თბილისი).

ჟიურიმ საგანგებო აღნიშვნის ღირსად მიიჩნია **მევლუდ ბობოხიძის** (წყალტუბო), **იური გაბრიელოვის** (თბილისი), **დ. გვაზავას** (თბილისი), **როლანდ გუგუშვილის** (თბილისი), **ზურაბ თედორაძის** (თბილისი), **ავთანდილ მჭედლიშვილის** (თელავი), **გ. თუმანიშვილის** (თბილისი), **იური იმნაძის** (ლანჩხუთის რაიონი, სოფელი გვიმბალაური), **ვაჟა ორმოცაძის** (ბათუმი), **ჯუმბერ ფირცხალაიშვილის** (ლანჩხუთი), **ვ. წულაძის** (ქუთაისი), **მურთაზ ჩიხლაძის** (ქუთაისი), **რამაზ ცერცვაძის** (თბილისი), **ნოდარ ჯანგირაშვილის** (თბილისი), **დავით ჯიბლაძის** (ბათუმი), **გურამ ხარაზიშვილის** (ბორჯომი) პასუხები.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და ჟურნალ „დროშის“ რედაქცია ულოცავენ გამარჯვებას ზემოთ დასახელებულ ამხანაგებს, კონკურსში მონაწილე ყველა ავტორს კი უცხადებენ დიდ მადლობას და უსურვებენ მათ შემდგომ წარმატებებს.

# მსოფლიოს ქვეყნებში

### ქაღალდი პალმის ფოთლებისაგან

ერაყელი სპეციალისტები, ხანგრძლივი ექსპერიმენტების შემდეგ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფინიკის პალმის ფოთლებისაგან შეიძლება დამზადდეს ქაღალდი.

ერაყის ქალაქ ბარსში საცდელად გამოუშვეს ფინიკის პალმის ფოთლებისაგან დამზადებული ასი ტონა ქაღალდი.

ახალი ქაღალდი საკმაოდ ხარისხოვანი გამოდგა.

### რკინის ბოთლები

ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში უჟანგავი ფოლადის ფურცლებისგან დაამზადეს ბოთლები, რომლებშიც ასხამენ ლუდს, ლიმონათს, ხილის წვენსა და მინერალურ წყლებს.

ახალ ბოთლებში უკეთ ინახება სხვადასხვა სასმელი, მათი გადაზიდვა შედარებით ადვილია.

ეკონომისტებმა გამოიანგარიშეს, რომ რკინის ბოთლები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება გამოვიყენოთ დანიშნულებისამებრ, საბოლოო ჯამში უფრო მომგებიანია, ვიდრე პლასტმასისა და შუშის ბოთლები.

### „ხომალდი—მეეზოვე“

დასავლეთ გერმანიაში ააგეს გიგანტური ტანკერი, რომლის დანიშნულებაა... ზღვებსა და ოკეანეებში დაქცეული ნავთობის შეგროვება.

„ხომალდ — მეეზოვეს“ შეუძლია წყლის ზედაპირიდან 7 საათში შეაგროვოს 5 ათასი ტონა ნავთობი.

სათანადო მოწყობილობა ტანკერს საშუალებას აძლევს დიდი ღელვის დროსაც იმუშაოს.

### მადლი მუსიკისა

ავსტრიელმა ფსიქოლოგებმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს:

ერთმანეთის მახლობლად მდებარე სამი სკოლიდან ერთ-ერთ სკოლაში მუსიკის სწავლა დააწყებინეს ბავშვებს.

ერთი წლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ბავშვები, რომლებიც მუსიკალურ განათლებას იღებდნენ, სხვა საგნების სწავლაში უფრო ბეჯითები იყვნენ, მეტი საერთო განათლება და სიდინჯე ჰქონდათ, ვიდრე მათ თანატოლ ბავშვებს.

# ილუზიონისტის შურისძიება

**სტივენ ლიკოკი.**

XX საუკუნის კანადელ მწერალთა შორის სტივენ ლიკოკს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იგი სამწერლო ასპარეზზე ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოვიდა. ლიკოკი აგრძელებს თავისი წინამორბედების — ინგლისელ და ამერიკელ სატირიკოსთა საუკეთესო ტრადიციებს.

— ქალბატონებო და ბატონებო! რაკი გიჩვენეთ, რომ ტილო აბსოლუტურად ცარიელია, ახლა ვიღებ ლარნაკს ოქროს თევზით. ჰოპლა! — წარმოთქვა ილუზიონისტმა.

— რა შესანიშნავია! როგორ ახერხებს ამას? — ჩურჩულებდა აღტაცებული ხალხი. მხოლოდ პირველ რიგში მჯდომმა მკვირცხლმა მამაკაცმა ხმამაღლა გადაულაპარაკა ახლომახლო მსხდომთ:

— სახელოში ჰქონდა დამალული!

ხალხმა თანხმობის ნიშნად მხიარულად დაუქნია თავი.

— ჩემი შემდეგი ნომერი საკმაოდ აღიარებული ინდოსტანური რგოლებია. თქვენ მოწმენი გახდებით იმისა, თუ როგორ გადაებმება ერთმანეთს ხელის ერთი დაკვრით ცალკეული რგოლები. ჰოპლა! — განაგრძობდა ილუზიონისტი.

დარბაზს ქარივით გადაუქროლა განცვიფრების ზუზუნმა, ვიდრე კვლავ არ გაისმა მკვირცხლი მამაკაცის ჩურჩული:

— სხვა რგოლები ჰქონდა სახელოში!

ხალხმა თანხმობის ნიშნად კვლავ დაუქნია თავი.

— სახელოში გადაბმული რგოლები ჰქონია!..

ილუზიონისტს ბოლმისაგან სახე მოეღუშა.

— ახლა კი, — არ შეიმჩნია მან, — გიჩვენებთ მეტად თავშესაქცევ ფოკუსს — ქუდიდან კვერცხებს ამოვიღებ! რომელიმე თქვენგანი ქუდს ხომ ვერ მათხოვებს? გმადლობთ!.. ჰოპლა!

მან ქუდიდან უამრავი კვერცხი ამოიღო. გაოგნებული დარბაზი რამდენიმე წამის განმავლობაში ფიქრობდა, რომ ყოველივე ეს მართლაც შესანიშნავი იყო.

— ქათამი ჰყავს სახელოში! — კვლავ გაისმა მკვირცხლი მამაკაცის ჩურჩული.

ამ თავშესაქცევმა ფოკუსმაც კრახი განიცადა.

ასე გრძელდებოდა მთელი საღამო — მამაკაცის თქმით, მაყურებელმა „აღმოაჩინა“, რომ ილუზიონისტს რგოლების, ქათმების და თევზის გარდა სახელოში დამალული ჰქონდა კარტის რამდენიმე დასტა, მთელი პური, თოჯინას აკვანი, ორმოცდაათი ცენტი, ცოცხალი ზღვის გოჭი და სავარძელი.

ილუზიონისტის რეპუტაცია კატასტროფულად ეცემოდა. წარმოდგენის დასასრულს მან უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიფა:

— ქალბატონებო და ბატონებო! დასასრულს ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ტიპერერის მკვიდრთა მიერ ახლახან შემუშავებული ფოკუსი. ხომ არ შეწუხდებით, სერ? — მიუბრუნდა იგი მკვირცხლ მამაკაცს, — მომეცით თქვენი ოქროს საათი!..

მამაკაცმა სასწრაფოდ მიაწოდა საათი.

— მომცემთ ნებას, სერ, თქვენი საათი დავნაყო?! — ჰკითხა მამაკაცს.

მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ილუზიონისტმა საათი ქვასანაყში ჩადო და ხელი დასტაცა მაგიდაზე დადებულ ჩაქუჩს. გაისმა საშინელი მტვრევის ხმა.

— სახელოში შეაცურა! — თავისას არ იშლიდა მკვირცხლი მამაკაცი.

— ახლა კი, სერ! — განაგრძობდა ილუზიონისტი, — ნება მომეცით, ნასვრეტები გავუკეთო თქვენს ცხვირსახოცს. გმადლობთ, სერ! ქალბატონებო და ბატონებო! ნასვრეტები ადვილი შესამჩნევია. კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, არავითარ თვალთმაქცობას რომ არა აქვს ადგილი!..

მამაკაცს სახე გაუბრწყინდა — ფოკუსის საიდუმლოებამ ამჟამად მოაჯადოვა იგი.

— სერ, ახლა კი ნება დამრთეთ, ვიცეკვო თქვენს ცილინდრზე! — ილუზიონისტმა რამდენჯერმე გადათელა ცილინდრი, შემდეგ აიღო და მაყურებელს უჩვენა ისე დაქმუქნული, მისი პირვანდელი სახის მეხსიერებაში აღდგენა შეუძლებელი იყო.

— სერ, გთხოვთ, მოიხსნათ ცელულოიდის სახელო! ნება მომეცით, დავწვა ის. გმადლობთ, სერ! შეიძლება ჩაქუჩით დავამსხვრიო თქვენი სათვალე? გმადლობთ, სერ!

მამაკაცის სახე თანდათან გაოცებას გამოხატავდა.

— გაოგნებული ვარ, — დაიჩურჩულა მან, — ამ ფოკუსს კი ვერაფერი გავუგე.

დარბაზი დუმილმა მოიცვა.

შემდეგ ილუზიონისტი მთელი ტანით აღიმართა მაყურებლის წინაშე, გამანადგურებელი მზერა მიაპყრო მკვირცხლ მამაკაცს და წარმოთქვა:

— ქალბატონებო და ბატონებო! თქვენ მოწმენი გახდით იმისა, ამ ჯენტლმენის ნებართვით როგორ დავნაყე მისი ოქროს საათი, დავწვი ცელულოიდის სახელო, დავამსხვრიე სათვალე, ვიცეკვე მის ცილინდრზე. მოხარული ვიქნები კვლავ გაგართოთ, თუკი იგი დამთანხმდება, პალტო მწვანე ზოლებით გავუფერადო ან აჭიმი გავუნასკვო. წინააღმდეგ შემთხვევაში ნება მიბოძეთ, წარმოდგენა დამთავრებულად გამოვაცხადო!

დიდებული მუსიკის თანხლებით ფარდა დაეშვა. ხალხი კი, დარწმუნებული იმაში, რომ ყოველ შემთხვევაში, არსებობს ზოგიერთი ფოკუსი, რომელიც ილუზიონისტის სახელოს საშუალებით არ კეთდება, თანდათან დაიშალა.

თარგმნა
**არჩილ მანტკავამ.**

**მიხეილ ჟვანეცკი**

# მოლოდინი

**მე ვიცდი... ყოველ დღე ამ ადგილზე ვიცდი. დრო მოლოდინში გრძელდება ნელა. ცხოვრება მოლოდინში გადის სწრაფად.**

**მიუხედავად ამისა, ვიცდი, ვიცდი, ვიცდი...**

**მე ხშირად ვიდექი რიგებში. ვუყურებდი სახეებს, რომლებზეც მხოლოდ მოლოდინი ისახებოდა. ვხედავდი მოწყენილ, უაზრო დგომას, ფიზიკურად ვგრძნობდი, ჩემი სხეულიდან როგორ გადიოდნენ წუთები და საათები.**

**სამოცი წლის ვარ. აქედან სამი წელი რიგებში გავატარე. ზოგჯერ ავადმყოფობდი. ზოგჯერ ვჩიოდი. ზოგჯერ გამომიძახებდნენ. მინიშნავდნენ მიღებას თორმეტ საათზე. არასოდეს ჩემი ცხოვრების სამოცი წლის მანძილზე, არავის მივული-ვარ ზუსტად თორმეტზე... ვიღაცას სჭირდებოდა ჩემი დრო და ალბათ იმიტომ.**

**სამოცი წლის ვარ. აქედან მიღების მოლოდინში ორი წელი გავიდა. ორნახევარი წელი სასადილოებში გავატარე ულუფის მოლოდინში. ორი წელი — ანგარიშსწორების ლოდინში, ერთი წელი ვიცდიდი საპარიკმახეროში. ორი წელი ვეძებდი ტაქსებს. სამი წელი სასტუმროების ვესტიბიულში ვეგდე ჩემოდნებზე და ცუცქნა ძალლივით თვალებში შევციცინებდი ადმინისტრატორებს.**

**ყველას სჭირდება ჩემი დრო. მე ის ცოტა მაქვს. მაგრამ თუ სჭირდებათ, რაში სჭირდებათ?!**

**სამოცის გახლავართ. ლოდინში გავატარე თხუთმეტი. ოცი წელი მეძინა. დარჩა ოცდახუთი. აქედან ჩვიდმეტი ბედნიერმა ბავშვობამ წაიღო. და მხოლოდ რვა წელი ვიყავი დაკავებული ჩემი საქმით.**

**ცოტაა. შემეძლო მეტი გამეკეთებინა. სამაგიეროდ, ლოდინი ვისწავლე.**

**ლოდინი, დაჟინებით და მოთმინებით.**

**ლოდინი, იმედის დაუკარგავად.**

**ლოდინი სკამზე ჯდომით და რწევით.**

**ლოდინი დგომით და ფეხის შენაცვლებით.**

**ლოდინი, კედელზე აყუდებით.**

**ლოდინი სავარძელში, ვიდრე სხვა ტელეფონით საუბრობს.**

**ლოდინი და არაფერზე ფიქრი. და მხოლოდ ახლა, როცა სამოცის ვარ, ვფიქრობ: ძალიან დიდხანს ხომ არ ველოდებოდი?.. მაგრამ შორს ეს ფიქრები. დაველოდოთ ავტობუსს.**

რუსულიდან თარგმნა
**ოთარ დემეტრაშვილმა.**

# გაძარცვა

**შანდორ ნოვობაცკი**
(უნგრეთი)

ერთ საღამოს, ქუდების სალონის მეპატრონე მადამ დელაფორს, როგორც კი ქუჩაში გამოვიდა, ვილაცამ ხელი სტაცა და მანქანაში შეაგდო. საჭესთან ქალი იჯდა. მანქანა მაშინვე მთელი სისწრაფით დაიძრა. უცნობმა მადამ დელაფორს რევოლვერი დაუმიზნა და მთელი დღის ნავაჭრი ფულით სავსე ხელჩანთა გამოსტაცა. შემდეგ მძარცველებმა მანქანა ქალაქგარეთ გააჩერეს და თავიანთი მსხვერპლი იქ დატოვეს.

ამ საქმის გამოძიებას ინსპექტორმა ლაპუენმა მოჰკიდა ხელი. მან საფუძვლიანად დაჰკითხა დაზარალებული.

— ხომ არ გახსოვთ რა მარკის მანქანა ჰყავდათ დამნაშავეებს? „რენო“, „სიტროენი“ თუ „მერსედესი“?

— მგონი „რენო“... თუმცა, შესაძლოა „მერსედესიც“...

— მანქანა დიდი იყო თუ პატარა?

— როგორ გითხრათ... საკმაოდ მოზრდილი იყო, მაგრამ შიგნიდან თითქოს პატარა ჩანდა, ან იქნებ პირიქით...

ინსპექტორმა ამოიოხრა.

— კარგით, კარგით, იქნებ ის მაინც გაიხსენოთ, რა იარაღი ჰქონდათ?

— იცით, აი, რომლითაც ისვრიან...

— პისტოლეტი, თოფი თუ ავტომატი? ან იქნებ ზარბაზანი? — უკვე მოთმინება დაეკარგა ინსპექტორს.

— მე მგონი, ნამდვილად ზარბაზანი იყო.

— თვალები ხომ არ აგიხვიეს?

— არა, არც უფიქრიათ.

— ჩინებულია, ახლა მითხარით, რომელი გზით წაგიყვანეს?

— როგორ? ეს საიდან უნდა ვიცოდე? საექსკურსიო ავტობუსი კი არ იყო, რომ გამოეცხადებინათ რომელ ქუჩაზე მივდიოდით!

— კარგით, მაშ მითხარით, როცა მანქანა დაიძრა, თქვენი სალონიდან მარჯვნივ გაუხვიეთ თუ მარცხნივ?

— მოითმინეთ, ახლავე გავიხსენებ... მარჯვნივ! მაგრამ არა, მარცხნივ! უფრო ზუსტად მარჯვნივაც და მარცხნივაც.

— მადამ, თქვენ დიდი ხანია, პარიზში ცხოვრობთ?

— რა თქმა უნდა, პარიზში დავიბადე და მას შემდეგ სულ აქ ვცხოვრობ!

— საოცარია! ის მაინც მითხარით, ბოლოს და ბოლოს, სენაზე თუ გაიარეთ?

— ღმერთო ჩემო, რა შეკითხვებს მაძლევთ? აბა რა ვიცი! მე ხომ არც გამიხედია მანქანიდან?

— ვინც მოგიტაცათ, იმას თუ იცნობთ?

— ძალიან ვწუხვარ, რომ ვერაფრით გეხმარებით, ერთადერთი, რაც მე დავიმახსოვრე, ეს იყო ქალი და კაცი. კაცი... ასე, დაახლოებით ჩვეულებრივი, ქალისკენ კი არც გამიხედავს, ერთი თვალი შევავლე მხოლოდ, ღია ფერის კოსტიუმი ეცვა, ქვედა კაბა ჩვეულებრივი, საშუალო სიგრძის, დაახლოებით ათი სანტიმეტრი მუხლს ზევით, წელზე მჭიდროდ მორგებული, უქამროდ, მაგრამ ეს ფასონი ისეთია, ქამრითაც შეიძლება ატაროთ, დიდი დეკოლტე, ბრილიანტის მანიაკი ეკეთა, ოღონდ ნამდვილ ბრილიანტს არ ჰგავდა, სუნამო „მაგრიფი“ იმაზე მეტი ჰქონდა ნაპკურები, ვიდრე ეს კარგი გემოვნების ქალს შეჰფერის... სამწუხაროდ, ბატონო ინსპექტორო, ამის მეტი არაფერი მახსოვს.

— ამაზე დიდ მადლობას მოგახსენებთ, ქალბატონო, და კიდევ ერთ შეკითხვას მოგცემთ, იქნებ ამიწეროთ ქალის გარეგნობა და მითხრათ, დაახლოებით რამდენი წლისა იქნებოდა?

— სიამოვნებით, სიამოვნებით! მეტად უშნო, ულამაზო ქალი გახლდათ, ასე დაახლოებით ორმოცი წლისა.

ინსპექტორი ლაპუენი სიხარულისგან ფეხზე ძლივს იდგა. ასეთი დაწვრილებითი აღწერის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ძნელი აღარ იყო დამნაშავეთა შეპყრობა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი დაჭერა მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ შეძლეს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი, რომელსაც მანქანა მიჰყავდა, გახლდათ ლამაზი, მაღალი და მხოლოდ ოცდახუთი წლისა.

უნგრულიდან თარგმნა
ლილი მაისურაძემ.

# კროსვორდი



თარაზულად: 3. საბჭოთა მოცურავე, ევროპის ჩემპიონი კომბინირებულ ესტაფეტაში; 6. საბჭოთა მძლეოსანი, 1957 წლის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი; 9. ფეხბურთის სათამაშო ფეხსაცმელი; 10. ამერიკელი სპორტსმენი, 1948 წლის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი 400 მ. დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვაში; 11. საქართველოს ქალაქი; 12. მსუბუქი ორთვლიანი ეტლი აზიის ზოგიერთ ქვეყანაში; 13. იალქანი; 14. ცვარი; 15. 1977 წლის სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი; 17. წარმატების შესაძლებლობა; 21. საბჭოთა სპორტსმენი, 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის პრიზიორი სპორტულ სიარულში; 22. საბერძნეთის ნაციონალურ გმირად აღიარებული, პირველი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მძლეოსნობაში; 23. მშვილდით სასროლი ჯოხი; 25. საინჟინრო ამოცანათა გადასაწყვეტად ბიოლოგიური სისტემების და პროცესების შემსწავლელი მეცნიერება; 28. „ოქროს ბურთის“ პრიზის მფლობელი ფრანგი ფეხბურთელი; 30. სპორტული შეჯიბრება მოტოციკლებით ან ავტომობილებით; 31. ჩრდილოეთ აფრიკის ძირითადი მოსახლეობისა და მისი დამპყრობი არაბის ევროპული სახელწოდება; 32. 1908 წლის ოლიმპიური ჩემპიონი პირველ ქვესაშუალო წონაში, იტალიელი სპორტსმენი; 33. ვოროშილოვგრადის ფეხბურთელთა გუნდი; 34. სასვენი ნიშანი; 35. ფეხბურთში 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლო; 36. ფრანგი მორბენალი, პირველი ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

შვეულად: 1. ბრაზილიელი მოჭადრაკე; 2. იტალიელი წყალმხტომელი, 1976 წლის ოლიმპიური ჩემპიონი; 4. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 5. გვინეა — ბისაუს დედაქალაქი; 6. 1979 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი; 7. 1964 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, იაპონელი ტანმოვარჯიშე; 8. 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; 16. უძლიერესი ირანელი შტანგისტი, 1968 წლის ოლიმპიური ჩემპიონი უმჩატეს წონაში; 18. 1963 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, „ოქროს ბურთის“ პრიზის მფლობელი; 19. საფრანგეთის საჭადრაკო სკოლის წარმომადგენელი და სპორტული ჟურნალისტი; 20. 1948 წლის სსრკ ჩემპიონი რგოლებზე ვარჯიშში; 24. ამერიკელი სპორტსმენი, 1896 წელს ათენში გამართული პირველი ოლიმპიური ჩემპიონატის ოქროს მედალოსანი სამმაგ ხტომაში; 25. უნგრელი მწვრთნელი ფეხბურთში; 26. დასავლეთგერმანელი სპორტსმენი, 1964 წლის ოლიმპიური ჩემპიონი აკადემიურ ნიჩბოსნობაში; 27. ხმელთაშუა ზღვის კუნძული; 29. ბრაზილიელი მწერალი.

კროსვორდის შემდგენელი ქ. ქურდოვანიძე.

გარეკანის პირველ გვერდზე: ტანმოვარჯიშე ირინე გაბაშვილი; წყალბურთელები. მალხაზ დათიკაშვილის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 29/IV-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VI-80 წ., ქაღალდის ზომა $70\times108^{1}/_{8}$, ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 56.400, შეკვ. 1229, უე 00680. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке). Издательство ЦК КП Грузии

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.





## ბავშვთა სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში

თარხან არჩვაძის ფოტო



6201/100

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯირითი.

თენგიზ ფურცხვანიძის ფოტო.

მთის მდინარე.

